ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 23 თებერვალი, 2015 143 (6663) აფცბ5 №) სტსჰბ

## ვინ დგას ჩვილებით ვაჭრობის უკან

გვ.4



# საგანელიძე: პრობლემა არ არის, რომ ოცნებამ“ აჭარაში უმრავლესობა დაკარგა“



ბაციკაძე: „ვადამდელი არჩევნები აუცილებელია“

## ღარიბაშვილი: ჩვენი გუნდის წევრები ნაციონალებს გაურიგდნენ“

გვ.2



საგანელიძე: „ვადამდელი არჩევნები არ იქნება“

## იმერეთის გუბერნატორი, ზაზა მეფარიშვილი, გადადგა

გვ.2





გია თევდორაძე: „მეფარიშვილი ღარიბაშვილის კადრი იყო“

გვ.6



## ნესტან კირთაძე: ნაციონალების დაბრუნების შანსი გაიზარდა“

„როგორც კი სათავეში მოვიდნენ, „ოცნების“ ყველა ლიდერი კომიკური გახდა“

## ემზარ ჯგერენაია: ლარის საშველად კრიზისული კომიტეტი უნდა შეიქმნას“

გვ.3



## მარგველაშვილი: უკრაინის გვერდით მტკიცედ ვდგავართ“

გვ.7



ISSN 1987-9385

კეჰ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ

# იმერეთის გუბერნატორი, ზაზა მეფარიშვილი, გადადგა

## გია თევდორაძე: „მეფარიშვილი ღარიბაშვილის კადრი იყო“

**გუშინ, 22 თებერვალს, იმერეთის გუბერნატორი, ზაზა მეფარიშვილი, თანამდებობიდან გადადგა, — ამის შესახებ მან საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.**

**მეფარიშვილს გადადგომის მიზეზები არ დაუკონკრეტებია. მან აღნიშნა, რომ დიდი ხანია სურდა თანამდებობიდან წასვლა და პრემიერ-მინისტრს სთხოვდა, მისი თხოვნა დაეკმაყოფილებინა. ამ დრომდე მისი განცხადება არ დაკმაყოფილდა, ამიტომ თავად მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობიდან წასვლის შესახებ.**


ზაზა მეფარიშვილი


გია თევდორაძე

— პრემიერ მინისტრთან შემდგარი კონსულტაციების შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. ბოლო 6 თვის განმავლობაში ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილს რამდენჯერმე მივმართე თხოვნით, დავბრუნებოდი ჩემს პროფესიულ საქმიანობას, — განაცხადა იმერეთის აწ უკვე ყოფილმა გუბერნატორმა.

მისი თქმით, ეს ნაბიჯი არის დროული და ხელს შეუწყობს როგორც იმერეთის რეგიონის განვითარებას, ასევე მიმდინარე პროცესების ეფექტურ წარმართვას.

ზაზა მეფარიშვილმა მის მიერ გაწეული სამუშაო ასე შეაფასა:

— 2014 წლის შედეგების მიხედვით იმერეთის გუბერნიის ადმინისტრაცია იყო ერთ-ერთი წარმატებული გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით, ხოლო განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიხედვით — საუკეთესო. ეს ჩემთვის არის საამაყო, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეგობრებს.

მეფარიშვილის თქმით, ყოველი საქმე მოითხოვს განახლებას და შესაძლებლობების ობიექტურად შეფასებას.

— ვიმედოვნებ, რომ მოსალოდნელი საკადრო ცვლილება მოიტანს ახალ ხედვებს და ახალ წარმატებებს, განსაკუთრებით საინვესტიციო სფეროში, რაც რეგიონის მოსახლეობის დასაქმების უკეთეს პერსპექტივებს განსაზღვრავს, — თქვა მან და

მადლობა გადაუხადა ირაკლი ღარიბაშვილს გამოხატული ნდობისა და მხარდაჭერისათვის.

**ზაზა მეფარიშვილი:**

— ეს ნაბიჯი კიდევ ერთი კარგი გზავნილი იქნება რეგიონის საზოგადოებისათვის, რომ თანამდებობა მარტო უფლებამოსილება და პირადი კომფორტი კი არ არის, არამედ ეს პირველ რიგში პასუხისმგებლობაა როგორც ხალხის, ასევე საკუთარი თავის წინაშე. გმადლობთ, გისურვებთ წარმატებებს.

ზაზა მეფარიშვილის თქმით, მას არანაირი შემოთავაზება არ აქვს და ჯერჯერობით არ იცის, სად გააგრძელებს საქმიანობას.

ზაზა მეფარიშვილი იმერეთის გუბერნატორად 2013 წლის დეკემბრიდან მუშაობდა. მანამდე ის სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი იყო.

2006-2013 წლებში მეფარიშვილი „საქართველოს ბანკში“ პრობლემური აქტივების მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა.

უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ ზაზა მეფარიშვილის გადაწყვეტილების კომენტირებისას აღნიშნა, რომ, ხარვეზების მიუხედავად, ზაზა მეფარიშვილის გადაყენებას პარტიაში არ აპირებდნენ.

**დავით საგანელიძე:**

— არ ვიცი მიზეზები, გარკვეულად მან უკვე შეაფასა სიტუაცია, ალბათ არის ისეთი პრობლემები, რომლებსაც თვითონ ვერ მოერეოდა... შენიშვნები და ხარვეზები ნამდვილად იყო, თუმცა და ვერ ვიტყვი, რომ ეს იყო გუბერნატორი, რომელიც უნდა გადაგვეყენებინა, ხარვეზები და შენიშვნები ბუნებრივია არის იქ, სადაც საქმე კეთდება, მაგრამ რახან თვითონ ჩათვალა, რომ უნდა გადადგეს, მას ალბათ ჰქონდა თავისი მიზეზები. შევხვდები მას და უფრო დეტალურად გავიგებ მისგან, თუ რა იყო გადადგომის მიზეზი.

— როგორც ჩანს მისთვის ახალი თანამდებობა შეუთავსებელი აღმოჩნდა, — ასე გამოეხმაურა მმართველი კოალიციის წევრი, დეპუტატი ზურაბ ტყემალაძე იმერეთის გუბერნატორის გადადგომას. ტყემალაძე ფიქრობს, რომ მეფარიშვილის გადაწყვეტილება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ იყო მისი პირადი გადაწყვეტილება, რომელიც პრემიერ-მინისტრმა დააკმაყოფილა.

◆ ◆ ◆

ქუთაისის ყოფილი მერის და საპარლამენტო უმცირესობის წევრის გია თევდორაძის თქმით, მეფარიშვილის თანამდებობის დატოვებით მხარეში არაფერი შეიცვლება, რადგან გადაწყვეტილებებს ბიძინა ივანიშვილი იღებს.

— სამწუხაროდ, ჩვენ დღეს ყველანი ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც გუბენატორებს, მერებს და გამგებლებს ყველანაირი ფუნქცია აქვთ წართმეული, ვინაიდან ყველა ფუნქცია და ბერკეტი აქვს ბიძინა ივანიშვილს და მის დანაშაულებრივ კლანს, რომელსაც საქართველოს დღევანდელი ცენტრალური ხელისუფლება ჰქვია. თუ რაიმე სასიკეთო გვინდა ქვეყნისათვის, სწორედ ეს კლანი და ხელისუფლება უნდა მოცილდეს მმართველობით ბერკეტებს.

გია თევდორაძემ ზაზა მეფარიშვილის საქმიანიბა ასე შეაფასა:

— ზაზა მეფარიშვილი ვერ იქნებოდა ეფექტური, რადგან მას არანაირი ფუნქცია არ გააჩნდა რეგიონალურ ინსტიტუციების დონეზე. ზაზა მეფარიშვილი ირაკლი ღარიბაშვილის კადრად მოიაზრებოდა და შესაძლებელია, მას ამიტომ დაატოვებინეს თანამდებობა, ოღონდ ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ამ ყველაფრის დასასრული კი იქნება ის, რომ თავად ირაკლი ღარიბაშვილი გადადგება პრემიერ-მინისტრობის პოსტიდან.

ზაზა მეფარიშვილის გადაწყვეტილებაში თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია უშიშროების სამსახურების კვალს ხედავს. ალასანია აცხადებს, რომ ხელისუფლებამ უშიშროების სამსახური და პოლიტიკა ერთმანეთისგან ვერ გამიჯნა.

**ირაკლი ალასანია:**

— ინდივიდუალური გადაწყვეტილებები ქვეყნის ვითარებაზე გავლენას არ იქონიებს. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს როტაცია სპეციალური სტრუქტურებიდან ადგილობრივ მმართველობით ორგანოებში და შემდეგ უკან. უშიშროებამ უნდა აკეთოს თავისი საქმე და პოლიტიკოსებმა უნდა აკეთონ პოლიტიკა. მმართველმა კოალიციამ ვერ გამიჯნა პოლიტიკოსისა და უშიშროების სამსახურების ფუნქციონირება, სწორედ ეს იქნება ამ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი.

# საგანელიძე: პრობლემა არ არის, რომ ოცნებამ“ აჭარაში უმრავლესობა დაკარგა“

### საგანელიძე: „ვადამდელი არჩევნები არ იქნება“

აჭარის უმაღლესი საბჭოს ვიცე-სპიკერ დავით ბაციკაძის გადაყენებას და უმაღლეს საბჭოში „ქართული ოცნების“ მიერ უმრავლესობის დაკარგვას უკვე უწოდეს ნაციონალების რევანში აჭარაში.

ეს მოვლენა, ბუნებრივია, ვერ დარჩებოდა მმართველი კოალიციის ყურადღების მიღმა. 21 თებერვალს გაიმართა კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომა, რომელზედაც აჭარის მოვლენები განიხილეს.

უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის შეფასებით, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის შედგენისას ხარვეზები იქნა დაშვებული. ადამიანთა ნაწილი, ვინც პარლამენტში „ოცნების“ პრინციპებით შევიდა, დღეს კოალიციის პირველი მოწინააღმდეგეეა.

— აჭარის უმაღლეს საბჭოში განვითარებული მოვლენების მიზეზი არის ის, რომ გარკვეული პირები შერჩეულნი და რეკომენდირებულნი იყვნენ იმ პოლიტიკოსების მიერ, რომლებიც დღეს აღარ არიან პარლამენტის უმრავლესობაში. შესაბამისად, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, რომ თავიანთი პირადი ურთიერთობები გადაიტანონ საბჭოს მუშაობაში. ბევრი ცდილობს, რომ იქ მართოს პროცესები, საპარლამენტო სიის შედგენის დროს იყო ბევრი ხარვეზი დაშვებული, რაც გამოჩნდა კიდეც. ის ადამიანები, ვინც „ოცნების“ პრინციპით შევიდნენ პარლამენტში, დღეს „ოცნების“ პირველი მოწინააღმდეგეები არიან. შესაბამისად, ამან არამარტო პარლამენტში, არამედ რეგიონებშიც ჰპოვა ასახვა, — განაცხადა დავით საგანელიძემ.


დავით საგანელიძე


ირაკლი ღარიბაშვილი


დავით ბაციკაძე

### ღარიბაშვილი: „ჩვენი გუნდის წევრები ნაციონალებს გაურიგდნენ“

იმაში, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა დაკარგა, საგანელიძე პრობლემას ვერ ხედავს:

— ვერ ვხედავ დიდ პრობლემას იმაში, რომ „ქართული ოცნება“ უმრავლესობაში არ არის აჭარაში. მუშაობა ჩვეულებრივად გრძელდება. ეს არ ნიშნავს, რომ უნდა ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები. ჩვენ ამ მიმართულებით არანაირად არ წავალთ. შევეცდებით, რომ დავარეგულიროთ სიტუაცია. შევხედავთ, რა იყო მიზეზი, რომ იქ ასეთი დაპირისპირება მოხდა უმრავლესობის წევრებს შორის.

### ბაციკაძე: „ვადამდელი არჩევნები აუცილებელია“

◆ ◆ ◆

პრობლემას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ

მიმდინარე მოვლენებზე ძალიან მკაცრი რეაგირება იქნება. მისი თქმით, ადგილი ჰქონდა „ქართული ოცნების“ რამდენიმე ყოფილი წევრის მოღალატეობრივ ქმედებას, თუმცა სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

— რაც აჭარაში ხდება, მარტივი ასახსნელია. სამწუხაროდ, ეს არის ჩვენი გუნდის ყოფილი წევრების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია. ისინი ნაციონალურ მოძრაობას გაურიგდნენ, მაგრამ იქ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. სიტუაცია კონტროლის ქვეშაა. ის, რომ ორმა, სამმა ასე ვთქვათ დეპუტატმა მოღალატეობრივად დატოვა ჩვენი გუნდი და გაურიგდა ნაციონა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
[illegible]
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
[illegible]

# ემზარ ჯგერენაია: ლარის საშველად კრიზისული კომიტეტი უნდა შეიქმნას“

ნათია ხურცილავა

**ლარის კურსის ვარდნის მიზეზებსა და მდგომარეობიდან გამოსვლის გზებზე „ახალ თაობას“ ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია ესაუბრა.**

***— ბატონო ემზარ, რამდენად გამოსწორებადია ეროვნული ვალუტის დევალვაციის პროცესი. თუ პროცესი ღრმად არის წასული?***

— გამოსწორებადია, არსებული მდგომარეობის გამოსწორება ნამდვილად შესაძლებელია. პერიოდულად ასეთი ვითარება გვქონია ხოლმე: 2008 წელს, 2010-2011 წლებში ლარის კურსი საკმაოდ მერყეობდა, რთულად იყო მდგომარეობა, მაგრამ გამოსწორდა. იგივე ხდება გერმანიაში, საფრანგეთში, ევროზონაში, მაგრამ იქ მდიდარი ეკონომიკაა, ჩვენ ღარიბი ქვეყანა ვართ და ამიტომ არის ასეთი მგრძნობიარე ეს ყველაფერი. ყველა თავისუფალი ვალუტა საკმაოდ სერიოზულ რყევას განიცდის, მაგალითად, ევრო.

***— თქვენ 2010-2011 წლები ახსენეთ, მაშინ იყო ასეთი დევალვირებული ლარი?***

— დიახ, იყო. შეგიძლიათ სტატისტიკის მონაცემები ნახოთ. 2008 წელს უარესი მდგომარეობაც იყო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არსებული მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია, ოღონდ სწორი მოქმედებაა საჭირო.

***— რა რეკომენდაცია გაქვთ მთავრობის ეკონომიკური გუნდის მიმართ?***

— ჩვენ გვჭირდება, რომ შეიქმნას ინსტიტუციონალურად ახალი ორგანო. სასწრაფოდ უნდა შეიქმნას კრიზისული კომიტეტი, რომელშიც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ეკონომიკური გუნდი მთლიანად, შინაგან საქმეთა მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი შევლენ. უნდა შემუშავდეს ერთიანი სამოქმედო გეგმა იმ გამოწვევების წინააღმდეგ, რომლებიც მიმდინარე წელს იქნება მოსალოდნელი. ეს დღესვე უნდა გაკეთდეს.

***— რა მიზეზები განაპირობებს ლარის კურსის ვარდნას?***

— სხვადასხვა მიზეზია. დანაკლისი გვაქვს ექსპორტის შემცირების კუთხით. ასევე უცხოური ვალუტების გადმორიცხვის მიმართულებით. ამის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთსა და უკრაინაში არსებული საომარი მდგომარეობაა. ასევე ევროპაში არსებული



ეკონომიკური რეცესიაა. ჩვენ არ შეგვიძლია, რომ რუსეთში პოლიტიკური სანქციებისგან გამოწვეული ვარდნა შევამციროთ. ასევე არ შეგვიძლია, რომ უკრაინაში ომი შევაჩეროთ. ამ პროცესებში ცხადია, რომ ვერ ჩავერევით, მაგრამ ამის კომპენსაცია შეგვიძლია.

***— როგორ?***

— ინტენსიური, პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვით. ამ შემთხვევაში ხელისუფლებას მართებს სრულად ძალების მობილიზება.

***— ინვესტიციები არის გამოსავალი?***

— ასევე უნდა მივმართოთ სავალუტო ფონდს. მისი ფუნქცია და მოვალეობაა, ასეთ დროს დაუჭიროს ქვეყანას მხარი. უნდა მივმართოთ დონორებს, რათა მოხდეს პროექტების დაფინანსება. ასევე, უნდა მოხდეს ბიუჯეტის დაფინანსების გაუმჯობესება. ეკონომიკური ზრდის რეალური ციფრების გაანგარიშება. ბიუჯეტის კორექტირება და ამის შემდეგ უნდა მოხდეს იმ გეგმის შემუშავება, რომელიც გათვლილი იქნება საშუალო და გრძელვადიან გამოწვევებზე. უნდა მოხდეს რეფორმა მთავრობის შენახვის ხარჯების შემცირების კუთხით. ასევე უნდა მოხდეს იმ ინფრასტრუქტურული პროექტების გადახედვა, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია 2015 წელს.

***— რამდენად შეუწყო ხელი ლარის კურსის რყევებს საგიზო პოლიტიკის გამკაცრებამ?***

— ცხადია, რომ ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი. რუსი და უკრაინელი ტურისტები ქართულ სათხილამურო კურორტებზე ძალიან აქტიურად მოდიოდნენ. ომის, რეცესიის შედეგად ტურისტების შემოსვლა შეჩერდა.

***— ბატონო ემზარ, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ინტერვენცია უშედეგო აღმოჩნდა თუ უკვე დაგვიანებული იყო?***

— ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი ორგანოა. ეროვნულმა ბანკმა უცებ რომ დახარჯოს რეზერვები, ჩვენ რეზერვების გარეშე დავრჩებით. უფრო მეტიც, შეგვექმნება მეორე პრობლემა. ინვესტორები, რომლებიც დღეს ქვეყანაში მუშაობენ, ყოველ წუთს რეზერვებსა და ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას უყურებენ. თუ რეზერვების არსებობაში და ფინანსურ სტაბილურობაში ეჭვი შეეპარათ, მაშინ ინვესტიციებს აუცილებლად გაიტანენ. ამან კი შეიძლება შეუქცევადი პროცესი გამოიწვიოს. ეს იქნება ინვესტორთა გაქცევა საქართველოდან, რაც ძალიან მძიმე შედეგით დასრულდება. ეროვნული ბანკი ჩაერია, 40 მილიონი დოლარი გაყიდა, მაგრამ კურსი კვლავ დაეცა. ანუ ინტერვენცია განხორციელდა, მაგრამ შედეგი სახარბიელო არ არის.

***— ხელისუფლებამ ეკონომიკური კურსი უნდა შეცვალოს?***

— უნდა შეიქმნას გუნდი, რომელიც არსებული მდგომარეობის საპირწონე გადაწყვეტილებას მიიღებს.

***— რამდენად გაუმკლავდება ამ გამოწვევას ეკონომიკური გუნდი?***

— თუ მოინდომებენ, შეძლებენ. თუ რჩევებს გაითვალისწინებენ და გულახდილად იმუშავებენ, ამ კრიზისიდან გამოვალთ. ერთობლივი მოქმედებაა საჭირო.

***— პროცესში პარლამენტიც უნდა ჩაერთოს?***

— რა თქმა უნდა, პარლამენტიც უნდა ჩაერთოს და მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები, თუ რა კანონი მიიღოს და რა არა. პარლამენტი უნდა ჩაერთოს და პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს.

***— ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობის საკითხი რამდენად დგას?***

— რაც ხდება, იმაზე ეროვნული ბანკი პასუხს აგებს, მაგრამ მხოლოდ ეროვნული ბანკის დადანაშაულება ამ პროცესში არ მოგვიტანს სასურველ შედეგს.

# საგანელიძე: პრობლემა არ არის, რომ ოცნებამ“ აჭარაში უმრავლესობა დაკარგა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლურ მოძრაობას, ეს მათი არჩევანია, ჩვენ ამაზე ძალიან მკაცრი რეაგირება გვექნება.

◆ ◆ ◆

გუშინ, 22 თებერვალს, კოალიციის პოლიტსაბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები „ქართული ოცნებიდან“.

შეხვედრის დაწყების წინ აჭარელმა დეპუტატმა ალექსანდრე ჩიტიშვილმა განაცხადა, რომ უმაღლესი საბჭოს ვადამდელი არჩევნები არის უკიდურესი გამოსავალი შექმნილ კრიზისულ ვითარებაში, მაგრამ თუკი სხვა გზა არ იქნება, არც ამაზე დაიხევენ უკან.

ვადამდელი არჩევნების ჩატარებას აუცილებლად მიიჩნევს უმაღლესი საბჭოს კიდევ ერთი წარმომადგენელი დავით ბაციკაძე.

— ჩვენ ჩამოვედით, რათა იმ რევანშზე ვისაუბროთ, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ აჭარაში მოაწყო. ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ჩატარდეს უმაღლესი საბჭოს ვადამდელი არჩევნები, რადგან რევანშისტებმა მოახერხეს ის, რომ მათ უმრავლესობა მოიპოვეს. უმაღლესი საბჭოს დღევანდელი მდგომარეობა იმას არ ასახავს, რასაც არჩევნებზე ხალხმა მისცა ხმა, — განაცხადა დავით ბაციკაძემ.

მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ ფრაქციიდან უნდა გაირიცხონ ის ადამიანები, ვინც მისი და ალექსანდრე ჩიტიშვილის გადაყენების საკითხს მხარი დაუჭირეს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს კიდევ ერთი წარმომადგენელი ანზორ თხილაიშვილი კი განმარტავს, რომ აჭარის უმაღლეს საბჭოში კრიზისი არასწორმა საკადრო გადაწყვეტილებებმა გამოიწვია, როცა საბჭო არამდგრადი პოლიტიკური ფიგურებით დაკომპლექტდა. თხილაიშვილის აზრით, შექმნილი მდგომარეობა ტრაგედია არ არის და არსებობს გამოსავლის რამდენიმე გზა. ერთ-ერთ ვარიანტად მანაც ვადამდელი არჩევნები დაასახელა.

აჭარის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები შექმნილ ვითარებაზე საუბრისას ხაზს უსვამდნენ პარლამენტის ვიცესპიკერის, მურმან დუმბაძის გავლენას აჭარის უმაღლეს საბჭოზე და ამბობდნენ, რომ დუმბაძემ ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად განახორციელა ის, რაც უმაღლეს საბჭოში მოხდა.

◆ ◆ ◆

საბოლოოდ, პოლიტსაბჭოს კონკრეტული გადაწყვეტილებები არ მიუღია.

— მოვილაპარაკეთ, რომ გაგრძელდება პოლიტსაბჭოსთან თანამშრომლობა. დაისახა რაღაც გეგმა, თუ როგორ ვიმოქმედებთ ხვალ, ზეგ, მაზეგ, — განუცხადა ჟურნალისტებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ავთანდილ ბერიძემ.

მან გეგმის დაკონკრეტებისაგან თავს შეიკავა. მხოლოდ აღნიშნა, რომ აჭარის უმაღლესი საბჭო იმოქმედებს კანონის, კონსტიტუციისა და საბჭოს რეგლამენტის ფარგლებში. ავთანდილ ბერიძის აზრით, საქმე ვადამდელ არჩევნებამდე არ მივა.

კომენტარი გააკეთა პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა მანანა კობახიძემ, რომლის აზრით, აჭარაში ყველაფერი ისე იქნება, როგორც რეგიონის ინტერესებშია. დეპუტატი აცხადებს, რომ ყოველგვარი დესტაბილიზაცია და პრობლემები უნდა გამოირიცხოს.

— მდგომარეობა პიროვნულ და პირად ამბიციებს არ უნდა გადაყვეს. გადაწყვეტილებები სწორედ ამის გათვალისწინებით იქნება ჩვენ მიერ მიღებული, — აღნიშნა მანანა კობახიძემ.

ვადამდელი არჩევნები გამორიცხა დავით საგანელიძემ.

— აღნიშნული საკითხი არ განხილულა. მიმაჩნია, რომ ასეთი გადაწყვეტილება სწორი არ იქნება, რადგან არსებობს კონსტიტუცია, არსებობს ნორმები და თუ რაიმე პრობლემებია, მათ მოგვარება სჭირდება და არა ის, როცა ხელისუფლებას და პარტიას მოეხასიათება, არჩევნები ატაროს, — აღნიშნა საგანელიძემ.

უმრავლესობის ლიდერმა იმედი გამოთქვა, რომ აჭარაში პრობლემა მოკლე დროში აღმოიფხვრება.

## ლარის კურსთან დაკავშირებით მთავრობა სავალუტო ფონდის“ მისიას შეხვდება

ლარის კურსის ცვალებადობასთან დაკავშირებით, ფდეს, 23 თებერვალს მთავრობის ეკონომიკური გუნდი, „საერთაშორისო სავალუტო ფონდისა“ და „ეროვნული ბანკის“ წარმომადგენლებს შეხვდებიან.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვიცე-პრმიერის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მთავრობის წევრები, „სავალუტო ფონდის“ წარმომადგენლებს ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტიციებისთვის დამატებით ფულს მოთხოვენ.

„სავალუტო ფონდის მისიასთან ინფრასტრუქტურული ზეგეგმიური პაკეტის მოცულობას განვიხილავთ. მათ კაპიტალური დანახარჯების კუთხით, დამატებით ფულს მოვითხოვთ, რათა ინფრასტრუქტურულ პროექტებში დამატებითი ინვესტიციები განვახორციელოთ. ეს ის პირველადი ზომებია, რაც ამ შემთხვევაში აბსოლუტურად ადეკვატურია იმ სიტუაციისა, რაც გვაქვს“,-განაცხადა კვირიკაშვილმა.

საქართველოს ეროვნული ვალუტა, უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში რამდენიმე თვეა უფასურდება. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი ერთ დოლართან მიმართებაში 2,1771 ლარია.

სავალუტო ჯიხურებში კი ერთი დოლარის ფასი 2 ლარსა და 20 თეთრს გასცდა.

ნიუსპრესი

## ზურაბ ტყემალაძე: ქამრების შემოჭერა რეალურად უნდა განხორციელდეს“



პარლამენტის ფრაქცია ,,ქართული ოცნება—მრეწველების“ წევრის ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებით რთული ვითარებაა, რაც აუცილებელი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

ამის შესახებ ტყემალაძემ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობდა.

ტყემალაძის თქმით, ,,ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკა მხოლოდ სიტყვიერად კი არა, რეალურად უნდა განხორციელდეს.

,,ლარის კურსთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, რთული სიტუაციაა. გასატარებელია სპეციალური ღონისძიებები. უნდა შედგეს ანტიკრიზისული პროგრამა, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს ამ მოკლე ხანში. ასევე, ნამდვილად უნდა მოხდეს ,,ქამრების შემოჭერა“ და ის რეალურად განხორციელდეს და არა სიტყვით“ — განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

ნიუსპრესი

## ქართულ ოცნებას“ ნინო გვენეტაძის მიმართ პოზიტიური განწყობა აქვს

კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატ ნინო გვენეტაძეზე დადებითი განწყობა აქვს. — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ოფისში გამართული დღევანდელი სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს პოლიტსაბჭოს წევრმა ზურაბ ტყემალაძემ განუცხადა.

„სხვა საკითხებთან ერთად, დღეს ნინო გვენეტაძის საკითხზეც ვიმსჯელეთ. პოლიტსაბჭოს მის მიმართ ნეგატიური განწყობა არ აქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ფრაქციებში განსახილველი საკითხია. ყველა ფრაქცია მის კანდიდატურაზე იმსჯელებს და შემდეგ ერთობლივად ჩამოვყალიბდებით, ექნება თუ არა მას კოალიციური მხარდაჭერა“, — განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

მედიანიუსი

## მიხეილ სააკაშვილი: პოროშენკო კარგი ოლიგარქია“

საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, უკრაინის მოქმედი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო კარგი ოლიგარქია, რომელიც სახელმწიფო საწარმოებს არ აკონტროლებს.

ამის შესახებ სააკაშვილმა გერმანულ გამოცემა „იე ძეიტ“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„პეტრო პოროშენკო ძალიან რეალისტი ადამიანია, მე მას 1986 წლიდან ვიცნობ, კიევში ერთად გსწავლობდით — ის ეკონომიკას, მე კიდევ სამართალს. მოგვიანებით იგი ბიზნესმენი გახდა, მე — პრეზიდენტი, მაგრამ მე ამით ფული არ მომმატებია. პეტრო კარგი ბიზნესმენი გამოდგა, შოკოლადის ფაბრიკა ააშენა. შეიძლება ითქვას, რომ იგი კარგი ოლიგარქია, არ აკონტროლებდა სახელმწიფო საწარმოებს ან მრეწველობის რომელიმე დარგს. მას კონფლიქტის პირველ თვეებში გულწრფელად სჯეროდა, რომ პუტინთან მორიგებას მიაღწევდა, შეიძლებოდა კომპრომისებზე წასვლა, ფიქრობდა, რომ ამის შესაძლებლობები ნამდვილად იყო“ — განაცხადა სააკაშვილმა.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვინ დგას ჩვილებით ვაჭრობის უკან

## საკრებულოს დეპუტატი გამოძიებას ითხოვს

გულიკო ბალაძე

**რამდენიმე თვეა, ტელევიზიებით გადის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვიდეორგოლი, სადაც კახა კოჟორიძე და სხვა წარმომადგენლები საუბრობენ საქართველოდან ჩვილი ბავშვების უკანონოდ გაყვანის, დანაშაულის გამოძიებისა და დამნაშავეების დაუსჯელობის თაობაზე.**



ასევე თბილისის საკრებულოს შენობის წინ დგას ავტომობილი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია, რომ ბავშვების საქართველოდან უკანონო გაყვანას ახორციელებს ასოციაცია „მომავლის იმედი“, რომლის თავმჯდომარე გახლავთ თამარ ხაჭაპურიძე.

ამ საკითხით დაინტერესდა თბილისის საკრებულოს წევრი გულიკო ზუმბაძე, რომელმაც „კვირაში“ პრესკონფერენციაც გამართა და ამ დანაშაულის სქემაც მოგვაწოდა. გულიკო ზუმბაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დამნაშავეები მოქმედებენ კარგად დამუშავებული სქემით.

— ჩვენ დავინტერესდით აღნიშნული საკითხით და საქმის არსებითად გასარკვევად მოვიწვიეთ ასოციაცია „მომავლის იმედის“ თავმჯდომარე თამარ ხაჭაპურიძე. ასოციაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სავარაუდო დანაშაულის სქემა ასე გამოიყურებოდა:

1. ბავშვების ჩასახვა ხდებოდა დონორთა უჯრედების გამოყენებით;

2. მიღებული ემბრიონის გადანერგვა და გამოზრდა ხდებოდა სუროგატი დედების საშვილოსნოში;

3. ამის შემდეგ სუროგატ დედებს აიძულებდნენ, დაეფარათ სუროგაციის ფაქტი, დარეგისტრირებულიყვნენ კანონიერ დედებად და მამად დაესახელებინათ ის უცხოელი, რომელსაც საქართველოდან უნდა გაეყვანა ბავშვი, — აცხადებს გულიკო ზუმბაძე.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლის თანახმად, სუროგატ დედას არ აქვს დაბადებულ ბავშვზე მშობლად ცნობის უფლება, რადგან ის არ წარმოადგენს ბიოლოგიურ დედას;

ამასთან, გულიკო ზუმბაძის მიერ მოწოდებული სქემის თანახმად, ბავშვის საზღვარგარეთ უკანონოდ გაყვანა დოკუმენტების გაყალბების გზით ხორციელდება, რაც უცხოელს საშუალებას აძლევს, საქართველოდან ბავშვი დამოუკიდებლად უპრობლემოდ გაიყვანოს.

ბავშვის საზღვარგარეთ გასაყვანად საჭირო იყო დედის უფლებებით აღჭურვილი პირი, რის გამოც ხდებოდა სუროგაციის ფაქტის დაფარვა, იქმნებოდა ყალბი დაბადების მოწმობა, რომლის აღების შემდეგ, ბიოლოგიურ დედად მითითებულ პირს (სინამდვილეში სუროგატს) ნოტარიუსთან აწერინებდნენ დედობაზე უარს, რაც ბავშვის მამად მითითებულ უცხოელს შესაძლებლობას აძლევდა დამოუკიდებლად გაეყვანა ბავშვი საქართველოდან.

როგორც გულიკო ზუმბაძე აცხადებს, სისხლის სამართლის საქმე აღძრული იყო მხოლოდ ყალბი საბუთებით საქართველოს საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გაყვანისთვის და არა ადამიანით ვაჭრობის მუხლით.

— გამოძიება დაწყებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისთვის, რაც გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გაყვანას ყალბი საბუთების გამოყენებით, — აღნიშნავს გულიკო ზუმბაძე.

— ამ პრობლემასთან დაკავშირებით ხელისუფლება დუმს. მიუხედავად იმისა, პროკურატურას მიმართა სახალხო დამცველმა, პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პრობლემა პრობლემად რჩება. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ამხელს და დანაშაულის ფაქტებზე მიუთითებს. ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია, თუ რა ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით, — მიაჩნია გულიკო ზუმბაძეს.

გულიკო ზუმბაძის შეფასებით, საქმე გვაქვს უმძიმეს დანაშაულთან. კერძოდ კი, ადამიანებით ვაჭრობასთან.

— ეს არის ადამიანებით ვაჭრობა. სხვა შეფასება, ამას არ შეიძლება მიეცეს. საუბარია რამდენიმე ათეული ბავშვის გაყვანაზე. ხელისუფლებამ ამ პრობლემას ყურადღება უნდა მიაქციოს, — აცხადებს გულიკო ზუმბაძე.

**ამ პრობლემასთან დაკავშირებით ხელისუფლება დუმს. მიუხედავად იმისა, პროკურატურას მიმართა სახალხო დამცველმა, პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, პრობლემა პრობლემად რჩება. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ამხელს და დანაშაულის ფაქტებზე მიუთითებს. ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან, საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია, თუ რა ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით.**

მისივე თქმით, ქალაქ თბილისის პროკურატურის 2013 წლის 17 მაისის წერილით ირკვევა, რომ შპს „ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტოს ნიუ ლაიფ ჯორჯიას“ ცალკეული მუშაკების მხრიდან ადგილი ჰქონდა დოკუმენტების გაყალბებას.

თუმცა, 2013 წლის 7 მაისს გამოტანილი იქნა დადგენილება, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ, რადგან „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული ქმედება ამნისტირებული იყო.

გულიკო ზუმბაძე ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, პროკურატურას რამდენჯერმე მიმართა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, სახალხო დამცველმა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, მიმართვას შედეგი დღემდე არ მოჰყოლია.

სავარაუდოდ, ამჟამად ბავშვების უკანონო გაყვანა კვლავ გრძელდება.

ასევე არ არის გარკვეული, საქართველოდან ბავშვები შვილად აყვანის მიზნით გაჰყავთ თუ მათი ორგანოების გამოყენების მიზნით. ამ საკითხის გასარკვევად სერიოზული გამოძიების ჩატარებაა საჭირო.

საინტერესოა თბილისის პროკურატურამ 2013 წელს საქმე რატომ აღძრა მხოლოდ საბუთების გაყალბების მუხლით? ამ მუხლით საქმის აღძვრა ხომ იმთავითვე საქმის დახურვას და დანაშაულის გამოუძიებლობას ნიშნავდა, რადგან იმთავითვე ცხადი იყო, რომ ამ მუხლს ამნისტია შეეხებოდა.

# აზერბაიჯანი: უკრაინა სააკაშვილს საქართველოს არ გადასცემს

აზერბაიჯანულ პორტალ □ეხო□-ს ჟურნალისტმა ჯამილია ალეკპეროვამ, უკრაინელ ექსპერტ ალექსეი ბლიუმინოვს ინტერვიუ ჩამოართვა.

ინტერვიუში უკრაინელი პოლიტიკური მიმომხილველი კომენტარს უკეთებს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, მინსკის სამშვიდობო მოლაპარაკების შედეგებს, ქვეყნის საშინაო მდგომარეობას და ეხება აგრეთვე უკრაინის მთავრობაში ყოფილი ქართველი ჩინოვნიკების სხვადასხვა თანამდებობებზე დანიშვნის ფაქტსაც. ამავე დროს, ბუნებრივია, არ ივიწყებს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც.

საინფორმაციო სააგენტო □ნიუსპრესი□ გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან:

***- უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ საქართველოს ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავის შტატგარეშე მრჩევლად დანიშნა. გარდა ამისა, საკმაოდ ბევრმა ყოფილმა ქართველი ჩინოვნიკმა დაიკავა პოსტი უკრაინის მთავრობაში. ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს უკრაინას და საქართველო რუსეთთან კონფლიქტი აქვთ. რას მოუტანს ეს ყველაფერი ორივე ქვეყანას და საერთოდ, ჩვენს რეგიონს?***



- მე ვერ ვიტყვი, რომ დღეს საქართველოს რუსეთთან კონფლიქტი აქვს. პირიქით, ამჟამინდელი ქართული ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად. მაგალითად, ცდილობს და წარმატებით ახორციელებს ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას. ახლახან, როგორც ვიცი, წარმატებით დასრულა მოლაპარაკება ქართული ბოსტნეულის ექსპორტზე რუსეთში. გარდა ამისა, ოფიციალურმა თბილისმა შეწყვიტა აგრესიული რიტორიკა რუსეთის მიმართულებით.

რა შეეხება მიხეილ სააკაშვილს და მის თანამოაზრეებს, შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ უკრაინის ხელისუფლების მიერ ექს-პრეზიდენტისა და მისი გუნდისადმი გამოხატული მფარველობა არის ის ძლიერი გამაღიზიანებელი ფაქტორი, რომელიც აუარესებს საქართველო-უკრაინის ურთიერთობას. ქართულმა მხარემ არაერთხელ გამოხატა თავისი აღშფოთება უკრაინის ხელისუფლებაში იმ პირების შრომითი მოწყობის თაობაზე, რომელთა მიმართ სამშობლოში გარკვეული პრეტენზიები არსებობს სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან. თვით ექს-პრეზიდენტის წინააღმდეგ საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, გაცემულია ორდერი მისი დაპატიმრების თაობაზე, თბილისს არაერთხელ მიუმართავს კიევისათვის თხოვნით დახმარებოდნენ მიხეილ სააკაშვილის დაკავებასა და მის ექტრადირებაში, მაგრამ ამგვარ მიმართვებს უკრაინის ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს. სულ ახლახანაც კიევმა საქართველოს პროკურატურის თხოვნას უარით უპასუხა. ჩემი აზრით, უკრაინა მიხეილ სააკაშვილს საქართველოს არ გადასცემს და, რასაკვირველია, პერსპექტივაში ეს ფაქტი ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესებას ნამდვილად არ წაადგება.

ნიუსპრესი

# კოტე კუბლაშვილს უფლებამოსილების ვადა დღეს ეწურება

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კოტე კუბლაშვილს უფლებამოსილების ვადა დღეს ეწურება.

კუბლაშვილი აღნიშნულ თანამდებობას 2005 წლის 23 თებერვლიდან იკავებს.

კუბლაშვილს ადგილს დორებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შეასრულებს.

პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ნინო გვენეტაძის კანდიდატურა წარადგინა. მას პარლამენტში მიმდინარე კვირის განმავლობაში მოუსმენენ.

ნინო გვენეტაძეს 2005 წელს, □ნაციონალური მოძრაობის□ მმართველობის დროს პარლამენტმა დისციპლინარული გადაცდომების მოტივით უზენაესი სასამართლოს წევრობა მას შემდეგ შეუწყვიტა, რაც მან განაცხადა, რომ პოლიტიკური ხელისუფლება მოსამართლეებზე ზეწოლას და მართლმსაჯულების სრულად დაქვემდებარებას იწყებდა.

ნინო გვენეტაძე უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეა. ის, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისა და თსუ-ს ასოცირებული პროფესორია.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევას მინიმუმ 76 დეპუტატის ხმა სჭირდება. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი უზენაესი სასამართლოს კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს, მაშინ პრეზიდენტმა პარლამენტს ახალი კანდიდატურა უნდა შესთავაზოს.



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს 10 წლის ვადით ირჩევენ.

ნიუსპრესი

# ლაგოდეხში მომხდარი მკვლელობა გახსნილია

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული თეიმურაზ ქ. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ლაგოდეხის რაიონში, სოფელ აფენში ურთიერთშელაპარაკებისას 1955 წელს დაბადებული მერაბ კ. და 1979 წელს დაბადებული მიხეილ კ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თეიმურაზ ქ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი - რეგისტრირებული სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

# უვადო პატიმრები პროტესტის ნიშნად 30–ე დღეა, შიმშილობენ

სასჯელაღსრულების №8 საპყრობილესთან უვადო პატიმრების ახლობლებმა საპროტესტო აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეები მოითხოვენ, რომ ამნისტია უვადო პატიმრებსაც შეეხოთ.

მსჯავრდებულების ახლობლების თქმით, 55-მდე უვადო პატიმარი უკვე 30-ე დღეა შიმშილობენ, რის გამოც, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

ისინი მთავრობის წარმომადგენლებს მოუწოდებენ, პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდნენ.

,,ჩემი შვილი, რომელიც უვადო პატიმარია, შიმშილობს. ვითხოვ, მის საბუთებში ჩაიხედონ და გადახედონ, რის შემდეგაც, პატარა ბავშვიც კი მიხვდება, რომ ის უდანაშაულოდ ზის□, — განაცხადა პატიმრის დედამ.

აქციის მონაწილეების განცხადებით, თუ მთავრობა ამ საკითხით არ დაინტერესდებიან, ისინი მომავალში აქციებს პერმანენტულად გამართავენ.

,,არ გავჩერდებით, ასე პერმანენტულად ჩავატარებთ აქციებს ყველგან. სანამ იმას არ მივაღწევთ, რომ ამ ბიჭების საქმეებს გადახედონ, მანამდე არც პატიმრები და არც მათი ახლობლები არ გავჩერდებით□,-აცხადებს აქციის მონაწილე.

ნიუსპრესი

# შსს–მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული გოჩა ც. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით ქუთაისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 5,5179 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 1,887 გრ ჰეროინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმებით დადგინდა, რომ გოჩა ც. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალება ჰეროინის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის □ა□ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

# კობა კობალაძე: ნაციონალებმა აქედან კი გაასწრეს, მაგრამ უკრაინიდან ვერ გამოასწრებენ“

## „რუსეთმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი სახელმწიფოა“

გულიკო ბალაძე

კვირის ბოლოს პოლიტიკური წრეების შეშფოთების საგანი პრემიერ–მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის განცხადება გახდა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში არ დგას. ზურაბ აბაშიძის აღნიშნული განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის ერთგვარ მუქარას მოჰყვა, რომ თუ დასავლეთი საქართველოს ნატოში ჩათრევას შეეცდება, რუსეთი შესაბამის ზომებს მიიღებს. ამ საკითხებზე ჟურნალისტებს გენერალი კობა კობალაძე ესაუბრა.

***— ბატონო კობა, ბოლო დღეების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საქართველოში ნატოს საწვრთნელი ბაზის განთავსება, რაზეც მოვისმინეთ ლავროვის განცხადება და ზურაბ აბაშიძის პასუხი, რომ ამჟამად საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში არ დგას და რუსეთს ნერვიულობის საფუძველი არ გააჩნია. ამასთან დაკავშირებით „თავისუფალმა დემოკრატებმა“ განაცხადეს, რომ ეს მიანიშნებს კურსის ცვლილებას. თქვენ რა შეგიძლიათ თქვათ ამასთან დაკავშირებით? რუსეთიდან მორიგი აგრესია მოსალოდნელი ხომ არ არის?***

— ჩვენ ისეთ პერიოდში და გარემოში ვცხოვრობთ, რომ შანსს არავინ უშვებს და ყველაფერს სპეკულაციებისთვის იყენებს. რუსეთს თავისი პოზიცია აქვს ნატოს საზღვრებისა და გავლენის სფეროების გაფართოებასთან დაკავშირებით, რაც ახალი არ არის და ყველასათვის ცნობილია. ეს არის სათუთი თემა. ნატოს საწვრთნელი ბაზის საქართველოში განთავსებაზე პირველად არ თქმულა. რა ვადებშია შესაძლებელი ამ ბაზის გაკეთება და რამდენად პასუხობს მოთხოვნებს, არ ვიცი. პირველ რიგში, ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესიდან უნდა გამოვდიოდეთ. არ უნდა ვიყოთ სატელიტები და ვიღაცის გავლენის თუ სურვილის გამტარებელი. თვითონ რუსეთმაც უნდა გაითვალისწინოს, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი სახელმწიფოა, არჩევანში და გადაწყვეტილებაში თავისუფლები უნდა ვიყოთ და, გარკვეულწილად, ხელგვეწიფება თავისუფალი პოზიციის დაფიქსირება. ეს არის დიპლომატების საუბრის თემა, მოლაპარაკების საგანი.

***— ლავროვის განცხადება საფრთხის მომასწავებელია?***

— ისეთ მყიფე გარემოსა და სივრცეში ვცხოვრობთ, ნებისმიერი მცირე რამ საფრთხედ შეიძლება იქნეს აღქმული. თუნდაც რუსეთის დღევანდელი პოზიცია უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით იმის მაგალითია, თუ რამდენად მტკივნეულად განიცდის ის ნატოს მხრიდან ნებისმიერი პოზიციის, გავლენის სფეროების გაფართოებას. ესეც არ არის ახალი. ნატოს საწვრთნელი ბაზის განთავსებაც მისთვის დისონანსის შემქმნელი რომ იქნება, ესეც უნდა ვიცოდეთ, რადგან რუსეთს აქვს ამბიცია, ეს რეგიონი მისი გავლენის სფერო იყოს. ის ჩვენს რეგიონში და ჩვენს სამეზობლოში ამ პოზიციას არ თმობს. ეს არ არის ისეთი რამ, რომ, ვთქვათ, კურსს ვიცვლით ან არ ვიცვლით.

***— თვითონ ამ საწვრთნელი ბაზის მნიშვნელობაზე რას იტყვით?***

— საწვრთნელი ბაზა შეიძლება მოიცავდეს მრავალი მიმართულებისა და კონფიგურაციული ამოცანების შემსრულებელი პირადი შემადგენლობის გაწვრთნას. შეიძლება იყოს როგორც სამშვიდობო მიმართულების, ისე — თეორიული მეცადინეობის ბაზისი, მაგრამ, რადგან საუბარია ნატოს საწვრთნელ ბაზაზე, გარკვეულწილად, პროგრამა მათი ინტერესების შესაბამისად იქნება გაწერილი.

***— როგორ უყურებთ ყოფილი ქართველი ჩინოვნიკების უკრაინაში დანიშვნას? პროკურატურას ადეიშვილის გადმოცემაზე უარი უთხრეს და მოთხოვნა ხელმეორედ გაიგზავნა, ყოფილი პრეზიდენტის გადმოცემაზე კი პასუხი მიღებული არ არის. ამ პროცესებს როგორ აფასებთ?***

— უკრაინა დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მის მმართველობაში მოსულია ის გუნდი, რომელსაც, ალბათ, გათავისებული აქვს პასუხისმგებლობა თავისი საზოგადოებისა და ხალხის წინაშე. არ დავყოფ საზოგადოებას პრორუსულად და არაპრორუსულად. არის საზოგადოების ნაწილი, რომელიც დასავლურ ფასეულობებს აღიარებს, მაგრამ დღევანდელ ხელისუფლებას ოპონირებას უწევს. უკრაინაში არის საზოგადოების ნაწილი, რომლისთვისაც ეს დანიშვნები მიუღებელია, მაგრამ ჩვენ დავინახეთ ამ შემადგენლობის კვალი საქართველოში. მოვისმინე ერთობლივი საპატრულო ჯგუფების შექმნაზე. გულით მინდა, ვუსურვო წარმატება უკრაინელ მეგობრებს, მაგრამ ვრჩები იმ აზრზე, რომ, აქედან თუ გაასწრეს, იქიდან ნამდვილად ვერ გამოასწრებენ.

***— რას გულისხმობთ?***

— რეალურად რომ მივყვეთ ქრონოლოგიას, მათი დანიშვნების შემდგომ პროცესს, თქვენ უცებ აღმოაჩენთ, რომ უკრაინაში საქართველოს სცენარი გრძელდება — უკრაინაში უცებ დაიწყო ჯაშუშების აღმოჩენა, სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში უცებ აღმოჩნდნენ მტრები, შეუცვივდნენ ერთ-ერთ წამყვან ქირურგს კლინიკაში და ლამის პატიმრობის ქვეშ გამოიყვანეს. როდესაც პაციენტის მდგომარეობაზე არავის უზრუნია. ამ ყველაფერს რომ ეცნობი, გეღიმება იმიტომ, რომ ხვდები იმ პერიოდში, რომელიც ჩვენ გავიარეთ. ის ვალდებულება და ურთიერთშენდობის გრძნობა, რომელიც ერთი ერის წარმომადგენლებს გვაქვს, არ შეიძლება, იგივე მოვთხოვოთ სხვებსაც. უკრაინელებს მივცეთ არჩევანისა და ანალიზის საშუალება. ამ დანიშვნებიდან ცოტა ხანი გავიდა, მაგრამ საკმაოდ მძიმე ფონია უკვე შექმნილი იმ პოზიციებზე, რომელსაც ოპონენტები გამოხატავენ. ყოფილი მაღალჩინოსნების მათი გადმოცემა-არგადმოცემის საკითხი შერჩევითი სამართლიდან გამომდინარე წყდება. თურმე ვიღაცას, მიუხედავად იმ ბრალეულობისა, რომელიც მათ აქვთ წარდგენილი საქართველოში კონკრეტული დანაშაულობებიდან გამომდინარე, ისინი კონკრეტულ დანაშაულობებში არიან მხილებულნი, არ აძლევენ საშუალებას სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს, რომ კონკრეტულ ქმედებებზე ჭეშმარიტება დადგინდეს. ესეც, გარკვეულწილად, რაღაც პასუხისმგებლობას აკისრებს ე.წ. ჩვენს მეგობრებს.

***— ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ უკრაინასთან ურთიერთობა უნდა შეწყდეს. მათი იქ დანიშვნა შეიძლება უკრაინაში ურთიერთობის გაწყვეტის საფუძველი იყოს?***

— არც ერთი ურთიერთობა ბოლომდე არ მივა და წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ საუბარი გაბუტულის პოზიციიდან დავიწყეთ და თუ ოპონირების რეჟიმში ჩვენს მოსაუბრეს ზურგი შევაქციეთ. იგივე გავაკეთეთ რუსეთთან დაკავშირებით და რა მოვიგეთ. დიპლომატია იმას ნიშნავს, რომ რამდენადაც მიუღებელი უნდა იყოს ჩვენთვის, პოლიტიკური დიალოგი აუცილებელია. სახელმწიფოს იმიტომ ჰყავს დიპლომატიური რანგის ხელმძღვანელობა, რომ შესაძლებლობა აქვთ, სახელმწიფო ინტერესები წარმოაჩინონ დიპლომატიური საუბრის დონეზე. მე არ ვარ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის მომხრე. მომხრე ვარ ყველა ასპარეზზე გააქტიურებისა. ინიციატივის დაკარგვა სარგებელს არ მოგვიტანს. სარგებელს მოუტანს მას, ვისაც ექნება უკეთესი ინიციატივა.

***— თავდაცვის სამინისტროში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე რა პოზიცია გაგაჩნიათ?***

— წლების განმავლობაში თითქოს რეორგანიზაცია და რეფორმა ტარდებოდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი თავის ადგილზე რჩებოდა. ბოლო მოვლენებმა გვაჩვენეს, რომ რაღაც ქმედებებში დისკრედიტირებული ხალხი, რომელიც არაფრით არ არის გამორჩეული არც თავისი ცოდნით, არც თავისი შემართებით, ქვეყნის წინაშე ვალდებულების გამოხატვის მოტივით კვლავ რჩებოდნენ თანამდებობაზე. მე მტკივნეულად განვიცდი ამ თემას. ეს პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე. თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე იზრუნოს. ქვეყნის სიძლიერე პირდაპირპროპორციულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა. თავდაცვის სამინისტროში, რეალურად, დაიწყო პროცესები. პროცესები მიმდინარეობს. ახალდანიშნულ მინისტრს წარმატებას ვუსურვებ. სახელმწიფო სტრუქტურაში პრობლემები უცებ არ ჩნდება, მისვლისთანავე. ეს პრობლემები, ეტყობა, იყო იქ და თავი იჩინა. გავიდა უმოქმედობის პერიოდი. არ შეიძლება, ოპონირების რეჟიმში ვინმეს მოსთხოვო პრობლემების მოგვარება, როდესაც შენს თანამონაწილე ხარ იმ პრობლემების შექმნისა. თავდაცვის სამინისტროს პოზიცია თუნდაც იმაში, რომ ტენდერების საკითხი სახელმწიფომ აიღო, ეს იმას ნიშნავს, თავდაცვის სამინისტროს ფოკუსირება აქვს აღებული ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე და არა ტენდერების შედეგების თემაზე.

***— ზურაბ აბაშიძის განცხადება, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, ლავროვის განცხადებიდან გამომდინარე, რუსული განწყობების გასანეიტრალებლად დიპლომატიური მანევრი იყო?***

— გარკვეულწილად, დღეს შეიძლება პრობლემა ისაა, რომ საზოგადოებამ ჭეშმარიტების მოსმენა დაიწყო და არ ისმენს იმას, რაც ვიღაცას უნდოდა. ნატოში ჩვენი გაერთიანების ბუნდოვნება არ იყო მხოლოდ დღეს გაჟღერებული თემა. ამაზე საუბარი იყო ორი წლის წინაც და 5 წლის წინაც. ნატოში ხან შევდიოდით, ხან — გამოვდიოდით, ხან ძალიან ვუახლოვდებოდით, მაგრამ კონკრეტული პერსპექტივა, გარკვეულწილად, ბუნდოვანი იყო. რეალობაა, რომ ის პერიოდი საქართველომ დაკარგა. იმ პერიოდში რაღაც რეფორმები ჩატარდა, მაგრამ ზოგადად, რთული მდგომარეობა იყო, რის გამოც ჩვენ დავშორდით ნატოს. იგივე შერჩევითი სამართალი, დემოკრატიული პროცესების უგულებელყოფა, ადამიანის უფლებების დარღვევები გვაშორებდა ნატოში გაწევრიანებას. ქვეყანაში შუააზიური ინგლისურენოვანი დიქტატის ფორმა მივიღეთ.



სამართალი

## არასამთავრობოები უკრაინის ელჩს ნოტას გადასცემენ

ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის უკრაინიდან საქართველოში ექსტრადირების მოთხოვნით, დღეს, 23 თებერვალს 15 არასამთავრობო ორგანიზაცია უკრაინის საელჩოს წინ ბრიფინგს გამართავს.

ორგანიზაციები ბრიფინგის დასრულების შემდეგ საქართველოში უკრაინის ელჩს ვასილ ციბენკოს აღნიშნულთან დაკავშირებით ნოტას გადასცემენ.

ბრიფინგი „ერეკლე მეორეს საზოგადოების“ ინიციატივით ტარდება. როგორც „ერეკლე მეორეს საზოგადოება“ აცხადებს, ისინი აპროტესტებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების უკრაინაში მაღალ თანამდებობებზე დანიშვნასაც.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ უკრაინის გენერალურ პროკურატურას მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის ექსტრადირების თაობაზე ოფიციალურად მიმართა, თუმცა უკრაინის მხარე მათ ექსტრადირებაზე უარს აცხადებს.

სააკაშვილი, რომელსაც საქართველოში წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული, უკრაინის რეფორმების საერთაშორისო საბჭოს ხელმძღვანელად დაინიშნა. ადეიშვილი კი გავრცელებული ცნობით, უკრაინაში ოფიციალურ პოსტს არ იკავებს, თუმცა ის არაფორმალურად უკრაინის ხელისუფლებას რჩევებს აძლევს.

მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს საქართველოში ბრალდებები აქვთ წაყენებული. სააკაშვილზე ქვეყნის შიდა ძებნაა გამოცხადებული, ხოლო ადეიშვილი ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნება.

ნიუსპრესი

## ტყიბულის მაღაროში შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა

ტყიბულის მაღაროში მიმდინარე სამუშაოების დროს ერთი პირი გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, 45 წლამდე მამაკაცი, რომელიც ადგილობრივი მკვიდრია, კედლის ჩამონგრევის შედეგად გარდაიცვალა.

მამაკაცი მაღაროში ტრანსპორტის ცვლის უფროსად მუშაობდა.

კომპანიის □საქნახშირი ჯი-აი-ჯი□ გენერალური დირექტორის მოადგილე ბეჟან ბალავაძე აცხადებს, რომ ტრანსპორტის ცვლის უფროსი შემთხვევის დროს არასავალ ნაწილში იმყოფებოდა, რა დროსაც კედლის ჩამოშლა მოხდა.

გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯებს აღნიშნული კომპანია აანაზღაურებს და დაღუპულის ოჯახს შესაბამის კომპენსაციას გადაუხდის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და სპეციალური კომისია მაღაროში მომხდარი უბედური შემთხვევის გამომწვევ მიზეზებს სწავლობენ.

ნიუსპრესი

## მინსკში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

მინსკის მილიციამ, საქართველოს მოქალაქე დააკავა, რომელზეც რუსეთის ფედერაციის სამართალდამცველი უწყებების მიერ საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული.

ამის შესახებ ინფორმაციას, საინფორმაციო სააგენტო □ლაივჟურნალი□, მინსკის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის მიგრაციის სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

საქართველოს მოქალაქე საერთაშორისო ძებნაში, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ინიციატივით მოხვდა. დაკავებულს ბრალი რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 322-ე მუხლის მეორე ნაწილით ედება.

□ფე ეს ბე□-ს დასკვნის მიხედვით, საქართველოს მოქალაქე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრია.

ამჟამად, მინსკელი სამართალდამცველები, დაკავებულის რუსული მხარისთვის გადაცემის საკითხს განიხილავენ.

ნიუსპრესი

## მერიის ყოფილი მაღალჩინოსანი ჯოკია ბოდოკიასა და გეგი ნიჟარაძეს ზეწოლაში ადანაშაულებს

დედაქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის ყოფილი უფროსი ნიკოლოზ ნამიჭეიშვილი მერიის მაღალჩინოსნებს ჯოკია ბოდოკიასა და გეგი ნიჟარაძეს მასზე განხორციელებულ ზეწოლაში ადანაშაულებს.

კერძოდ კი ნიკოლოზ ნამიჭეიშვილის განცხადებით, ჯოკია ბოდოკიამ და გეგი ნიჟარაძემ მას კატეგორიულად მოსთხოვეს თანამდებობიდან გადამდგარიყო.

ნამიჭეიშვილის თქმითვე, ის მომხდარის შესახებ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

,,ნიჟარაძის გარდა ჩემზე ზეწოლას ახორციელებდა, ასევე, ცნობილი ჯოკია ბოდოკია. მან თავის კაბინეტში განცხადება მომაწოდა, რომელშიც მითითებული იყო სამსახურიდან წასვლის შესახებ ჩემი ,,თხოვნა“ და ამ განცხადებაზე ხელის მოწერა კატეგორიულად მომთხოვა. ნიჟარაძე თავისი გუნდის წევრებთან და ასევე, ჯოკია ბოდოკიასთან ერთად იმ ოთახში შემოვარდა, სადაც მე ვიჯექი, ჩემზე მორალური და დამამცირებელი ზეწოლა განახორციელეს“,– აცხადებს ნიკოლოზ ნამიჭეიშვილი.

შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უკვე ყოფილი უფროსი ჯოკია ბოდოკია ქრთამის აღების ბრალდებით დააკავა. შსს-ს ცნობით, ბოდოკიამ ერთ-ერთი კერძო კომპანიის წარმომადგენელს სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემაში დახმარებისა და მშენებლობის პროცესში მფარველობის გაწევის სანაცვლოდ ქრთამის სახით, სასტუმროს მშენებლობის ღირებულების 10 % — 180 000 აშშ დოლარი მოსთხოვა, საიდანაც წინასწარ ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის ნაწილი — 50 000 აშშ დოლარი აიღო.

ნიუსპრესი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ნესტან კირთაძე: ნაციონალების დაბრუნების შანსი გაიზარდა“

## „როგორც კი სათავეში მოვიდნენ, „ოცნების“ ყველა ლიდერი კომიკური გახდა“

შორენა კოწოწაშვილი

**რა რესურსი შერჩა „ოცნებას“, აქვს თუ არა შანსები სააკაშვილის გუნდს, რომ ხელისუფლებაში მობრუნდეს და რატომ უნდა გააქტიურდეს პრეზიდენტი მარგველაშვილი? — ამ საკითხების ირგვლივ „ახალი თაობა“ გთავაზობთ ინტერვიუს ნესტან კირთაძესთან.**



***— ქალბატონო ნესტან, როგორ შეაფასებდით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს? ფაქტია, სუსტი მმართველობა იკვეთება და გარე საფრთხეებიც მატულობს.***

— დღევანდელი ვითარება ეს არის აბსოლუტურად გამოკვეთილი კრიზისი — ეკონომიკური კრიზისი, პოლიტიკური კრიზისი, მორალური და ღირსების კრიზისი, აგრეთვე საყოველთაო კრიზისი. ასე რომ, კრიზისში მყოფი ქვეყანა, როდესაც ყველა პარამეტრია კრიზისული და მთელი თაიგულია საქართველოს მრავალმხრივი კრიზისისა, აქედან რომელი გამოსავლით, რომელი კალაპოტით გავა უკვე, რომელ ჯებირს გახეთქავს ეს მოზღვავებული ემოცია ჩვენი მოსახლეობისა, ეს უკვე პროცესის საკითხია.

***— ქვეყნის შიგნით უფრო ბევრი შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ თუ საგარეო პოლიტიკის, დიპლომატიის კუთხით? სააკაშვილის და მისი გუნდის წევრების უკრაინის მთავრობაში დანიშვნა, ქართული დიპლომატიის მარცხად ფასდება.***

— მე ხშირად ვარ უკრაინაში. უკრაინაში ფიზიკური ომი მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში მედასავლეთე მთავრობამ, პოროშენკომ და იაცენიუკის გუნდმა, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ტანკებს დაპირისპირებოდნენ ძლიერი რეფორმისტული გუნდით და რეფორმისტული პოლიტიკით. უკრაინა არის ევროპული სახელმწიფო, მაგრამ პოლიტიკური სისტემის, ცხოვრების წესის თვალსაზრისით — პოსტსაბჭოთა ქვეყანა, სადაც კორუფციის ჭაობია. უკრაინას აქვს უზარმაზარი რესურსი, მაგრამ არ აქვს სახელმწიფო და დემოკრატიული ინსტიტუტები. როცა ასეთი ალტერნატივის წინაშე იდგა უკრაინის მთავრობა, გადაწყვიტეს შეეკრიბათ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან რეფორმატორები, თავიანთი გამოცდილებების მიხედვით. იქ მარტო მიშა და ნაციონალები კი არ არიან, იქ არიან ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს და ამერიკის წარმომადგენლები. სააკაშვილმა მიიღო უზარმაზარი თანამდებობა, ისევე როგორც მისმა გუნდმა. სააკაშვილი გააგრძელებს თავის საქმიანობას თავის გუნდთან ერთად. როგორი იქნება ამ საქმიანობის მომავალი, ამას პროცესი დაგვანახებს.

***— ნაციონალებს ხელისუფლების სათავეში მობრუნების შანსი აქვთ?***

— სავარაუდოდ, კი როდესაც ასე ძლიერდებიან ისინი, მათ შორის, ფინანსურადაც; როდესაც ამხელა თანამდებობებს იკავებენ უზარმაზარი ფინანსური რესურსის უკრაინაში... წარმოიდგინეთ, როგორი დიდი ფინანსური სიძლიერე და ზურგი შეიძლება ჰქონდეთ ნაციონალებს; რამდენმა მსხვილმა ოლიგარქმა შეიძლება დაუჭიროს მხარი ამათ ფინანსურ წარმატებას და მათ პოლიტიკურ გუნდს. ეს ყველაფერი ხომ ზედაპირზე დევს. თუ ერთმანეთს დავუკავშირებთ ძლიერ ფინანსებს, მათ შორის ძლიერი პოლიტიკური დასავლეთის მხარდაჭერას, მათ შორის თავად ძლიერ პიარს, რომელიც მიჰყავთ არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ საქართველოში; დღე ერთია და რომელ ქვეყანაშიც ვარ, მიშა ჩანს სხვადასხვა ტელესტუდიებიდან, რა თქმა უნდა, აქვთ რეალური შანსი იმისა, რომ საკმაოდ ძლიერი პოზიციებით მოვიდნენ ხელისუფლებაში.

***— თქვენ პირველი იყავით, ვინც ამბობდა, რომ ივანიშვილი ხელისუფლებაში ანტიკრიზისული მთავრობით უნდა მოსულიყო. ცოტა ხნის წინ ივანიშვილმა აღიარა, რომ კრიზის მენეჯერებია მთავრობაში აუცილებელი. შესწევს ხელისუფლებას, რომ პოლიტიკური ჩიხიდან გამოვიდეს?***

— თუ ივანიშვილი ყურს მიუგდებს დასავლეთის ექსპერტებს და კონსულტანტებს, მას არ დასჭირდება ვადამდელი არჩევნები. ვადამდელი არჩევნები საარჩევნო რეფორმის და დიდი ფინანსური შესაძლებლობების გარეშე, ნიშნავს დარტყმას ქვეყნის ეკონომიკისათვის, რასაც ჩვენი ეკონომიკა ვერ გაუძლებს. 150 პოლიტიკური გვამის შესაყვანად საქართველოს პარლამენტში, რომელიც რეალურად ვერავითარი ცვლილებების საფუძველი ვერ გახდება, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება გამოსავალი. ვურჩევ ივანიშვილს და ამ ხელისუფლებას: თავი დაანებოს ამ ჩაჭიდებულ პიროვნებებს და ვითომ ფსევდოფავორიტების ძიებას. მას აქვს უნარი, რომ სინამდვილეს გაუსწოროს თვალი და დაინახოს, რა ხდება ქვეყანაში. მართლაც ანტიკრიზისული მთავრობა უნდა მოიყვანოს. მთავრობა უნდა შეიცვალოს. პრემიერი ღარიბაშვილი უკვე ძალიან კარიკატურული ფიგურაა. ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ ის არ შეიძლება იყოს პრემიერ-მინისტრი. მას მთელი თავისი მენეჯერული თვისებები აგებული აქვს ერთი ბატონის ხასიათზე, რა ეამება მას. ის ვერ იქნება მთავრობის მეთაური და მით უმეტეს, ეს არ არის ანტიკრიზისული მთავრობა. ნახეთ, რა განცხადებებს აკეთებს საგარეო საქმეთა მინისტრი. რა უბედურებაა დღეში სამი სხვადასხვა განცხადება. მერე ამ განცხადებების გადაფასება-შეფასება. რა არის ეს?! რას ჰგავს ჩვენი დიპლომატია. ამათი ცოლ-შვილების და სიდედრების შოპინგებზე მადევარი ხალხი, რომლების თავისი საქმით არ არიან დაკავებული. საერთოდ, ვინ რას აკეთებს ვიცით ამათთან დაკავშირებით. ივანიშვილი ტელევიზიით რომ გამოდის და ლაპარაკობს, მშვენივრად გამოიყურება ლარი და ხალხს ურჩევს, ბანკის კონსულტანტები აიყვანონ, ეს ხომ ცინიზმია. ერთი კვირის თავზე გამოდის მისი მენეჯერი ღარიბაშვილი და ამბობს, ეს უკვე კრიზისია. ჩამოყალიბდით, რა, ბატონებო!

***— თქვენ თქვით, რომ ივანიშვილი ამერიკელი კონსულტანტების რჩევების შესაბამისად იმოქმედებს. რატომ მიიყვანა საქმე აქამდე — საპარლამენტო უმრავლესობაშიც სერიოზული დაპირისპირებაა. თუ დასავლელი კონსულტანტების რჩევებს არ ითვალისწინებს, შესაძლოა გააქტიურებული რუსული სპეცსამსახურების ინტერესები ქართულ პოლიტიკაში გაძლიერდეს.***

— ივანიშვილი ვერასდროს იქნება მედა-

> დროა, პრეზიდენტმა მაინც აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყანაში ახალი მთავრობის, მით უმეტეს, ახალი ეკონომიკური გუნდის შექმნისათვის.

სავლეთე. ის რუსი ოლიგარქია. პოლიტიკური ტექნოლოგიები ასეთია: ეს იყო მიჯნა არა იმისი, რომ მარტო სააკაშვილი უნდა წასულიყო, არამედ მიშა, რომელიც ბევრ უხერხულობას ქმნიდა დასავლეთსა და რუსეთს შორის, ვთქვათ პირდაპირ, ევროპასა და რუსეთს შორის, თუნდაც აშშ-სა და რუსეთს შორის. რაღაცა ტიპის გარდამავალი, გამანეიტრალებელი ახალი პოზიციები უნდა შექმნილიყო. ეს არა იმიტომ, რომ მიშაზე იყო დამოკიდებული ან ივანიშვილზე, უბრალოდ, დასავლეთის დიდი აქტორები, შედიოდნენ ღრმა კრიზისში, ჯერ უკრაინის პროცესები დაწყებული არ იყო. მათი ყველა პირველადი მონაცემებით ეს კრიზისი, რა თქმა უნდა, გაღრმავდებოდა უკვე რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირებით. დღეს მართლა არ არის რუსეთ-უკრაინის ომი. მით უმეტეს, ეს არ არის სეპარატისტული ომი. ეს არის რუსეთისა და დასავლეთის ომი. ვეუბნები ივანიშვილს, ამხელა პასუხისმგებლობა რომ აიღე ქვეყნის წინაშე, ახლა შენი პირადი ინტერესებით ვერ მართავ ამ ქვეყანას. აქ უკვე ჩამოყალიბდა პოლიტიკური სისტემა. ამ სისტემის ჩამომყალიბებელმა ქვეყნებმა, ამერიკისა და ევროპის ქვეყნებმა, თავიანთი წილი კონტრიბუცია ჩაიდო ამაში. ახლა, ივანიშვილი იქნება თუ იუსტინე, ამას მნიშვნელობა არ აქვს. დასავლეთისათვის ის არის პლაცდარმი თავისი ღირებულებების, გეოსტრატეგიული ინტერესების და თავისი ფორპოსტების გაჩენისა. ამიტომაც, რა თქმა უნდა, ისინი ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს აქ რა იქნება. საქართველო გადის ბეწვის ხიდზე. პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან შეიძლება უფრო მძიმე მოსახვევის წინაშე აღმოჩნდეს. ჩვენ არ ვიცით, რუსეთის ფედერაცია გაზაფხულზე რა აქტივობებს დაიწყებს სამხრეთ კავკასიის მიმართულებით. უფრო სწორად, ანალიტიკოსები უკვე აშკარად ღია საუბრობენ ანუ მიდის პრაქტიკული ბრძოლა რუსეთის იმპერიასა და დასავლეთს შორის. მიდის პრაქტიკული ბრძოლა ჩვენს რეგიონში ფუნდამენტურ ისლამსა და დასავლეთს შორის. ამ ბრძოლაში პოლარიზაცია რომელ მხარეს გადავა, ამას დრო აჩვენებს, ეს არის გლობალური პოლიტიკა. ოღონდ გლობალურ ვითარებაში დასავლეთისთვის სულ ერთი არ არის, ვინ იქნება საქართველოში ხელისუფალი და რამდენად სტაბილურად განახორციელებს იგი დასავლეთის ინტერესებს.

ივანიშვილის პასუხისმგებლობა ქართველი ხალხის წინაშე, რომელმაც რევოლუციური არჩევნებით მისცა ხელისუფლება, არის ძალიან დიდი. ამიტომ ვადამდელ არჩევნებს არ ვურჩევდი ხელისუფლებას. ვურჩევ, შეცვალოს მთავრობა და მოიყვანოს პროფესიონალი ანტიკრიზისული გუნდი, რომელიც საქართველოს ფეხზე ცოტათი მაინც დააყენებს.

***— ივანიშვილი და მისი მთავრობა ამაზე წავა? ექსპრემიერმა ბოლო ინტერვიუში აქცენტი ექსპერტებითა და არასამთავრობოებით უკმაყოფილებაზე გააკეთა.***

— შეიძლება, ეს იცის ივანიშვილმა. მაგრამ მაინც შევახსენებ: ფორმისა და შინაარსის ერთიანობა არის აუცილებელი. ამიტომაც ივანიშვილმა ან თავი უნდა დაანებოს პოლიტიკას და ილაპარაკოს, როგორც მართლა რიგითმა მოქალაქემ მისი გემოვნების ხალხთან, ან პოლიტიკაში დაბრუნდეს. მაშინ საჭორაო დრო არ ექნება ექსპერტებზე, ჟურნალისტებზე და არასამთავრობო ორგანიზაციებზე; ამ ტიპის პირად შურისძიებებზე. სახელმწიფოს მეთაურის პოსტი და სტატუსი არ გაძლევს შესაძლებლობას, პირადი ემოციებისა და შურისძიების ფონზე ილაპარაკო ტელევიზიით თუნდაც 5 წუთი. ამიტომ მან უნდა გააკეთოს არჩევანი; ან ბოლომდე იღებს პასუხისმგებლობას ან აცხადებს, ან კულისებიდან საქართველოს მართვა, ეს არის დიდი უბედურება. ეს რა მმართველობაა?! ამის დაშვებაც არ შეიძლება. ან საქართველოს პრეზიდენტმა ყოველმიზეზგარეშე ეს კრიზისი უნდა დააფიქსიროს კონსტიტუციით განსაზღვრული წესების მიხედვით და თქვას, ბიძინა ივანიშვილი აღარაფერშუაშია, ან მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი კონსტიტუციურად უნდა დადგეს. ახლა ეს რასთან არის დაკავშირებული ახალ უმრავლესობის შექმნასთან, ძველი არითმეტიკული ჯამების დაშლასთან, ლარის გაუფასურებასთან, ბიუჯეტის არდამტკიცებასთან თუ რაზეც უნდათ, ყოველთვის მოხდება ამისთვის საბაბის მოძებნა. მაგრამ დრო უკვე არის იმისათვის, რომ პრეზიდენტმა მაინც აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყანაში ახალი მთავრობის, მით უმეტეს, ახალი ეკონომიკური გუნდის შექმნისათვის. პრეზიდენტმა აუცილებლად უნდა იაქტიუროს. „ოცნების“ ლიდერებს თავიანთი გასჭირვებიათ. ყველა კომიკური ლიდერია. ძალიან გული მწყდება, რადგან ჩვენ ბევრი დრო გავიარეთ ერთად, როდესაც ერთად ვიყავით ოპოზიციაში. როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდნენ, კომიკურ ლიდერებად იქცნენ. ხალხს ამათი გაგონებაც კი არ უნდათ. იკითხონ, რა რეპუტაცია აქვთ. ამას გულისტკივილით ვლაპარაკობ. ასეთი დევალვირება, რაც ამ პოლიტიკოსებმა 2 წელიწადში გაუკეთეს თავის თავს, მე არ მინახავს.

*ხალხის აზრი*

# ინტერნეტი გავთიშო თუ ტელევიზია?“

## „სანამ დიდ საპროტესტო მოძრაობას არ დავიწყებთ, ხელისუფლება ყურს არ შეიბერტყავს“

მარიკა მჭედლიშვილი

**ლარის კურსის მორიგმა ვარდნამ მოსახლეობის დიდი შეშფოთება გამოიწვია. „ახალი თაობა“ იმ მოქალაქეებს გაესაუბრა, რომლებიც ფასების მატებას საბითუმო მაღაზიების მიმდებარედ ხმამაღლა აპროტესტებდნენ.**

**მაია, ექიმი, 48 წლის:**

— ისედაც ხელფასიდან ხელფასამდე ძლივს გამქონდა თავი. ზოგს ჰგონია, რომ ექიმებს კარგი ანაზღაურება გვაქვს და არაფერი გვიჭირს. ამ გაძვირებებმა ისე ამირია გზა-კვალი, რომ ვფიქრობ და ვერ ვწყვეტ, ინტერნეტი გავთიშო თუ ტელევიზია. სურსათს ისედაც უფრო ნაკლებს ვყიდულობ. არადა, კარგად ვიცი, რა მძიმე შედეგები მოსდევს არასაკმარის კვებას. ამ დღეში რომ ვართ, მთავრობას ვადანაშაულებ.

***— ითვლება, რომ ლარის კურსი ეროვნული ბანკის ფუნქციაა.***

— მოსახლეობაზე მინიმალურად ზრუნვა მაინც არ არის ხელისუფლების ფუნქცია? 2012 წელს რომ ოქროს მთებს გვპირდებოდნენ და დანაპირების მეათედს რომ ასრულებენ, ესეც სხვისი ბრალია? მოვიდნენ ხელისუფლებაში, უცებ გამდიდრდნენ. ზოგმა ფეხზე შემდგარი ციკნების ჭამით გაითქვა სახელი, ზოგმა — წილების წაღებით. ზოგს პარლამენტში სულ სარკე უჭირავს ხელში და შეუღებავი აღარაფერი დარჩა. თან, სულ ლაპარაკობს. მაგრამ, ხალხისთვის საინტერესოს — არაფერს. აი, ასეთი ხალხი მოვიყვანეთ ხელისუფლებაში.

***— მთავრობა ადმინისტრაციულ ხარჯებს ამცირებს.***

— მეც მოვისმინე ეს ინფორმაცია. შაბათს რომ გამოაცხადეს ეს, მანამდე რას ელოდებოდნენ? თუ ჯერ კოლოსალური პრემიები ჰქონდათ ასაღები? მერიაში, მგონი, ნარმანიას გარემოცვას ისევ ძალიან მაღალი დანამატები აქვთ დაკანონებული. არც ოპოზიცია რომ არ გვყავს ნორმალური! გამოდიან და სულ საგარეო კურსზე და ნატოზე ლაპარაკობენ. ჩვენ ფიზიკური გადარჩენის პრობლემა გვიდგას და ესენი თავის მიზანს გარე პატრონებთან დატკბობაში ხედავენ. ამიტომ, საზოგადოებამ ჩვენს თავს თვითონ უნდა მიხედოს. სანამ არ დავიწყებთ დიდ საპროტესტო მოძრაობას, ხელისუფლება ყურსაც არ შეიბერტყავს.

**ნუგზარი, თვითდასაქმებული, 61 წლის:**

— დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გაუბედურების ხარჯზე ბანკები მდიდრდებიან. საქართველოში არიან ან ძალიან მდიდრები, ან ღარიბები და ღატაკები. საშუალო ფენა თითქმის არ არის. ვისაც ლუკმაპურის შოვნა შეუძლია, იმასაც აკოტრებენ. მდიდრები უფრო მეტს შოულობენ. „ბუბლიკი“ და კანფეტი ვერ ვუყიდე შვილიშვილებს, ისეთი გაძვირებულია. აფთიაქში შესვლაც არ მინდა. რამდენჯერაც შევედი, იმდენჯერ გაძვირებული წამლები ვიყიდე. ეს, იცით, რისი ბრალია? იმისი, რომ ჩვენ ეს ხელისუფლება არ ვაკრიტიკეთ, არ ვაკონტროლეთ. „ქართული ოცნების“ ხალხი გალაღდა, იმიტომ, რომ მარტო ნაციონალებს ეკამათება. ნაცებს ეუბნებიან, თქვე ჯალათებო, ჩვენ თქვენსავით ხალხს არ ვაწამებთო. 2012 წლიდან ამის მეტს არაფერს აკეთებენ. ჯანდაცვის დაზღვევის გარდა, არც არაფერი გაუკეთებიათ. არც პოლიტიკოსი ვარ, არც პოლიტოლოგი. მაგრამ, „ქართული ოცნების“ წევრები რომ დამისხდნენ, კამათს მოვუგებ და სიმართლეს დავუმტკიცებ, დაპირებებსაც გავახსენებ. მთელი მსახიობები რომ ჰყავდათ ორი წლის წინ წანასაარჩევნო კამპანიაში ჩართული, სად არიან ახლა ის მსახიობები? არჩევნებს ელოდებიან, რომ ახალი ტყუილებით „დაგვაბოლონ“? ეგენი მსახიობობაში არიან მაგრები, თორემ არც პოლიტიკა ესმით, არც ეკონომიკა და სინდისიც არ ჰყოფნით იმისათვის, რომ საკუთარი მოსახლეობა არ მოატყუონ. წეღან ახალგაზრდა ბიჭი ამბობდა, კამპანიას ვიწყებთ, რომ ლუდი არ გააძვირონო. ლუდი კი არა, ქვეყანა გვექცევა თავზე და ამის საწინააღმდეგოდ უნდა დავიწყოთ მოძრაობა.

**თამარი, პენსიონერი, 77 წლის:**

— შვილს ბანკმა ვალის გამო ბინა გაუყიდა. ქირით ცხოვრობენ. ძალიან უჭირთ გადახდა. ბავშვები წრეებიდან გამოიყვანეს. მარტო აუცილებელ საჭმელზე ფიქრობენ. თუ ასე გაგრძელდა, სოფელში გადმოვლენ. მეც იქ ვცხოვრობ. თუმცა, არ ვიცი, ბავშვებმა როგორ უნდა ისწავლონ. სკოლა დახურეს. ჩემს პენსიას კი ვახარჯავ, მაგრამ ეს პენსიაც რომ ძალიან მცირეა? რატომ არ ფიქრობს ჩვენზე ხელისუფლება? ასე როგორ შეიძლება? არც ხალხს ხვდებიან. არ ეკითხებიან, რა გვაწუხებს. ეგრე შეიძლება ყველანი ისე წავიდეთ ამ სოფლიდან, რომ ხელისუფლება ვერც კი მიხვდეს, რაშია საქმე და რატომ იხოცებიან ადამიანები.

ნონა ცაბაძე

# პაატა იმნაძე: წელს გრიპით ავადობა შარშანდელზე გაცილებით ნაკლებია“

## თებერვლის შუა რიცხვებიდან გრიპის ვირუსმა იმატა

ვირუსს ახასიათებს მაღალი ტემპერატურა, თავისა და ყელის ტკივილი, პირღებინება, თუმცა, როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი პაატა იმნაძე „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, პანიკის საფრთხე არ არსებობს და ეს ჩვეულებრივი სეზონური, ბე ტიპის ვირუსია.

***— ბატონო პაატა, იმატა ვირუსულმა ინფექციებმა. თქვენ ჩვენთან საუბარში ადრეც აღნიშნავდით, რომ თებერვალში პიკი იქნებოდა. რა საფრთხეების წინაშე ვდგავართ და ზოგადად რა ვითარებაა ამ კუთხით?***

— განსაკუთრებული საფრთხე არ არის. თუ ვინმე მეტყვის, რომ ზამთარში გრიპი არ ყოფილა და ვირუსი არ უნახავს, ყოფილა ეგეთი ზამთარი?!

***— ამ პერიოდში საკმაოდ მასობრივიაო.***

— არა, არა, რა მასობრივი, ხალხო! ჩვენს ვებგვერდზე ყოველკვირეულად იდება მონაცემები, ამ პერიოდში შარშან როგორ იყო, წელს როგორ არის, სულ კვირებისა და თვეების მიხედვით არის შედარებული. განსხვავებული არაფერი ხდება. ჩვეულებრივი ზამთარია, ჩვეულებრივი გრიპია. ძირითადად არის ბე ტიპის ვირუსი, თუმცა შიგადაშიგ არის ა ტიპის ჰაშ ერთი ვირუსი და კიდევ არის რესპირატორულ სიმწიფური ვირუსი. ეს უკვე გრიპის ვირუსი არ არის, გაციებას რომ ვეძახით, ამ ტიპის ვირუსია. წელს ავადობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეს იყო 2013-2014 წლის ზამთარში. თითქმის იგივეა, რაც 2012-2013 წლის ზამთარში იყო და ჰოსპიტალიზაცია კიდევ უფრო ნაკლებია.

***— ბავშვებში უფრო ხშირიათ...***



— დიახ, ბავშვებში უფრო ხშირია. ბე ტიპის ვირუსი არ შეცვლილა, ბავშვს, რომელიც პირველად ხვდება ვირუსს, უფრო მეტად უჭირს. დიდებს ეს ბე ტიპის ვირუსი სხვადასხვა ფორმით გადატანილი გვაქვს და დიდებში უფრო ნაკლებად არის.

***— რამდენად არის ეპიდემიის საფრთხე?***

— არავითარი ეპიდემიის საფრთხე არ არის. ეს ავადობა არ არის ის ავადობა, რომელიც ეპიდემიურ ზღვარზე მიგვითითებს.

***— რომ დავამშვიდოთ მშობლები, რა მახასიათებელი აქვს ამ ვირუსს, რით გამოირჩევა?***

— არაფრით არ გამოირჩევა, მშობელმა უნდა იცოდეს ერთი! ბავშვს თუ აქვს სიცხე 38 და 3 ხაზი და ზევით ერთი დღე-ღამე, ექიმს აუცილებლად უნდა მიმართოს. მთავარია, რომ არ გავუთამამდეთ. მთავარია, რომ ვინმე არ დამძიმდეს და არ გართულდეს.

***— გრიპს მხოლოდ მაღალი ტემპერატურა ახასიათებს?***

— მაღალი ტემპერატურით იწყება ჩვეულებრივ. ამას შეიძლება დაერთოს კუნთების ტკივილი, თავის ტკივილი, ხველება, ღებინება. შეიძლება იყოს ცხვირიდან გამონადენი. ძირითადი პრობლემა ეს არის, რომ ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ არ გართულდეს პნევმონიით. ამიტომ ექიმი უნდა ჩავრთოთ, თუ ბავშვს მაღალი ტემპერატურა აქვს და თუ დაეწყო სუნთქვის გაძნელება. თუ ნახველი აქვს და ეს ნახველი თუ ჩირქოვანია ან ფერი შეიცვალა, ან პატარა სისხლი ურევია, დაუყოვნებლივ ექიმთან უნდა მივიყვანოთ. ეს არის ის სიმპტომები, რაც საგანგაშოა და აუცილებლად უნდა ნახოს ექიმმა.

***— როდის გადაივლის ეს ტალღა?***

— ალბათ, კიდევ ორი კვირა და მორჩება.

***— რას ურჩევდით მოსახლეობას, პაციენტებს, თავდაცვის მიზნით რა ღონისძიებები უნდა გაატარონ?***

— ავადმყოფი არ უნდა წავიდეს სკოლაში, ავადმყოფი არ უნდა წავიდეს სამსახურში! ეს არის პირველი. დადის ვინ? მსუბუქი ავადმყოფი და ის ავრცელებს ვირუსს, თორემ მძიმე წევს და ის არ ავრცელებს. დანარჩენი, უნდა დავიცვათ ჰიგიენის წესები, ხელები დავიბანოთ ხშირად.

***— ბავშვთა კლინიკები მართლა გადავსებულია?***

— გადავსებულს ვერ დავარქმევთ. კი, ძირითადად ბავშვებია ის, ვისაც ჰოსპიტალიზაცია სჭირდება, მაგრამ ისეთი არაფერი ხდება, რაც წინა წლებში არ ყოფილა.

***— რაიმე ახალი ტიპის ვირუსის შემოსვლას ხომ არ ელოდებით? გაზაფხულიც რთული პერიოდია...***

— არა. ახალ ვირუსებს არ ველოდებით. დღეს ძირითადად ბე ტიპია გავრცელებული და თითო-ოროლაა ა ჰაშ ერთი.

***— ა ტიპის ვირუსი უფრო რთულად მიმდინარეობსო...***

— ავადმყოფისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ბე დაემართება, ა დაემართება თუ კიდევ სხვა ვირუსი დაემართება. ავადმყოფს ემართება გრიპის მაგვარი დაავადება. ზოგი მძიმედ გადაიტანს, ზოგი ადვილად. აქ ვირუსის ტიპზე არ არის ლაპარაკი, აქ ლაპარაკია ორგანიზმზე, ვის როგორი ორგანიზმი აქვს.

***— ფატალური შემთხვევები ხომ არ დაფიქსირდა ამ ბოლო პერიოდში?***

— არა. საბედნიეროდ, არ დაფიქსირებულა.

***— რომელია ყველაზე მეტად რისკის შემცველი ჯგუფები?***

— სკოლამდელი ასაკის ბავშვები, ქრონიკული დაავადების მქონე პირები, მოხუცებულები, ვისაც ჭარბი წონა აქვს, ის ადამიანები და ორსული ქალები. აცრა საჭიროა მაშინ, სანამ ამას აზრი აქვს, მანამ დაიწყება. სახელმწიფო პროგრამით აცრილია ყველა ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტი, ასევე აცრილია დიაბეტიანი ბავშვების ნაწილი, ბავშვთა სახლების, მოხუცებულთა თავშესაფრების კონტინგენტი, ასევე — ექიმების ნაწილი. ეს ყველაფერი სახელმწიფოს პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. დღეს აცრის გაკეთებას აზრი არა აქვს, დღეს რომ გაიკეთებ, ერთი კვირის მერე იქნება იმუნიტეტი და ამ პერიოდში ეს ვირუსებიც გადაივლის. შემოდგომაზე უნდა ჩაიტარონ ეს აცრები.

***— რამდენად შველის აცრა? მომისმენია მოსაზრებები, რომ ეს არ შეგხვდება, სხვა ტიპის ვირუსი შეგხვდებაო...***

— გრიპის ვაქცინა არ არის წითელას ვაქცინა, რომელიც 100%-ით გიცავს. გრიპის ვაქცინა მთლად ასე არ არის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უფრო მსუბუქად გადაიტან, ვიდრე აუცრელობის შემთხვევაში. ამიტომ რისკის ქვეშ მყოფ კონტინგენტებს ჩვენ ყოველთვის ვურჩევთ აცრას. ახალგაზრდა თუ ხარ და ჯანმრთელი ორგანიზმი თუ გაქვს, შეიძლება, ისედაც მარტივად გადაიტანო. ავად თუ ხარ, სუსტი ორგანიზმი გაქვს და სუნთქვის ორგანოები გაწუხებს, მაშინ ჯობია აიცრა.

***— ბატონო პაატა, საზოგადოება რომ დავამშვიდოთ, პანიკის საფუძველი არ არსებობს?***

— არანაირი პანიკის საფუძველი არ გვაქვს. ჩემი თუ არ გჯერათ, ნახეთ შარშანდელი თქვენი გაზეთის ნომრები ამ დროის. მეტი რაღა გითხრათ.

## ხილის წვენები ან ტკბილი სასმელები აბების სამკურნალო ეფექტს ასუსტებს

ხილის წვენები ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მოქმედებას ანელებს, აცხადებენ შვედი მკვლევრები. ქალაქ ლუნდის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის პროფესორი ლარს ედვინსონი პაციენტებს ურჩევს, აბებს მხოლოდ წყალი მიაყოლონ, რადგან ხილის წვენები ან ტკბილი სასმელები სამკურნალო ეფექტს მნიშვნელოვნად ასუსტებს.

გამოკვლევის იდეა პროფესორს იმავე ჰოსპიტალში მომუშავე მედდამ მიაწოდა, რომელმაც ერთ-ერთი პაციენტის ნარწყევში გადაუმუშავებელი აბები შენიშნა. მედდის თქმით, პაციენტმა აბებს სწორედ ხილის წვენი მიაყოლა. ლარს ედვინსონი დაინტერესდა მედდის ნაამბობით და ექსპერიმენტების ჩატარება დაიწყო. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ წვენში მოთავსებული აბები 5 საათში იხსნებოდა, წყალში მოთავსებული აბების გასახსნელად კი მხოლოდ 10 წუთია საჭირო. ექსპერიმენტის შედეგები 18 მოხალისე სტუდენტზე ჩატარებულმა კვლევამაც დაადასტურა.

## სტრესი კიბოს განვითარების რისკს ზრდის

სამსახურში მიღებული სტრესი ძუძუს კიბოს განვითარების რისკს ზრდის. ეს დასკვნა შვედმა და ბრიტანელმა მეცნიერებმა 36 ათასი დასაქმებული ქალის ჯანმრთელობის ერთობლივი კვლევის შედეგად გამოიტანეს.

მკვლევართა მტკიცებით, ქალები, რომლებიც სამსახურში ქრონიკულ სტრესს განიცდიან, ამ საშიში დაავადებით 30 პროცენტით უფრო ხშირად ავადდებიან. კვლევისას მეცნიერებმა ისეთი ფაქტორებიც გაითვალისწინეს, როგორიცაა ალკოჰოლის მოხმარების დონე, შვილების რაოდენობა, წონა და ასაკი.

ძუძუს კიბოს განვითარებაზე სტრესის ზემოქმედების მექანიზმი ჯერ კიდევ ბოლომდე აუხსნელი რჩება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კიბოს განვითარებას ხელს უწყობს ჰორმონი ესტროგენი, რომლის დონე ქრონიკული სტრესის დროს მნიშვნელოვნად მატულობს.

მეორე თეორიის თანახმად, დაავადების განვითარებაში ცხოვრების არაჯანსაღი წესია დამნაშავე, რადგან ქრონიკული სტრესის დროს ქალები ხშირად ეწევიან, სპორტს კი ნაკლებად მისდევენ. გარდა ამისა, სტრესი იმუნურ სისტემას ასუსტებს, რაც ორგანიზმს ონკოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლის უნარს უკარგავს.


## თოდუების საგვარეულო წამლები სასწაულებს ახდენს

თოდუები მე-11 საუკუნიდან საუკეთესო მკურნალებად არიან ცნობილნი. მათი საგვარეულო წამლები უამრავ დაავადებას კურნავს. მათ საქმეს დღეს ქალბატონი ლამარა თოდუა აგრძელებს, რომელსაც უამრავი პაციენტი ჰყავს განკურნებული.

***— ქალბატონო ლამარა, რა დაავადებებს მკურნალობთ?***

— ჩვენი საგვარეულო მალამოები ეფექტურია დამწვრობის დროს, ერთი წასმით ჩერდება წვის პროცესი, კანის დამწვარი უბანი ხდება უმტკივნეულო. სწრაფად იკურნება ჭრილობები, დაჩირქებული, ნაოპერაციევი ნაწიბურები, დაჟეჟილობები, ნაღრძობი სახსრები. ვინც ჩვენ მალამოს წაისვამს ნებისმიერი მწერის ნაკბენ, შესიებულ კანზე, მაშინვე მიხვდება მის სიკეთეს. ვკურნავ ჰაიმორიტს 10 დღეში, ქრონიკულიც რომ იყოს. ღრძილების ძლიერ ანთებას, სოკოვან სტომატიტს, წითელ ქარს. მალამოთი მოვაშორებ მეჭეჭებს უმტკივნეულოდ. ჩვენი მალამოების გამოყენებით იკურნება ფეხების ძლიერი ოფლიანობა, ჩერდება თმის ცვენა, ბუდობრივიც კი. ჩვენი საგვარეული წამლები ბუნებრივ პროდუქტებზე არის დამზადებული და სასწაულებს ახდენს.

***— თქვენი წამლები მხოლოდ გარეგანი მოხმარებისაა?***

— ნებისმიერი ორგანიზმი მოითხოვს გაწმენდას. ჩვენი საგვარეულო წამლების გამოყენებით იწმინდება ნაღვლის ბუშტი, თირკმელები, შარდის ბუშტი, ფილტვები, კუჭ-ნაწლავი, იკურნება დისბაქტერიოზი, იდევნება ჭიები, სხვადასხვაგვარი მარილები. სუფთავდება სისხლი.

***— სახის კანის საშუალებებს თუ ამზადებთ?***

— პროფესიით ვარ კოსმეტოლოგი. ვმკურნალობ ნებისმიერ კანს. ვამზადებ სხვადასხვა ტიპის კანისთვის მკვებავებსა და ნიღბებს, გამწმენდ საშუალებებს. ვაშორებ ტილებს ერთი პროცედურით. წამალი კურნავს თმის ცვენას და აშორებს ქერტლს.

***— თქვენთან მკურნალობა რა ჯდება?***

— თოდუები ცნობილნი ვართ, იმითაც, რომ ჩვენთან მკურნალობა ყველასთვის ხელმისაწვდომია. დღეს ყველას უჭირს, ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ხალხმა საკუთარი ჯანმრთელობა დაივიწყა. მარტოხელებს, უმწეოებს, გაჭირვებულებს ყოველთვის დავეხმარები და ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე მოვემსახურები.

**P.S. თუ გსურთ, განიკურნოთ თოდუების საგვარეულო, ბუნებრივ პროდუქტებზე დამზადებული წამლებით, მიმართეთ ლამარა თოდუას. მისი კოორდინატებია:**

**ოთარ ჭილაძის ქ.№166,**
**№10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან.**
**230 62 52; 599 16 10 82.**






## აპენდიციტს ბევრი ხორცი იწვევს

მწვავე აპენდიციტი ყველაზე გავრცელებული ქირურგიული დაავადებაა. იგი ძირითადად გადაუდებელი ოპერაციის მიზეზი ხდება. მწვავე აპენდიციტის განვითარების მიზეზი სხვადასხვაგვარია. მის პათოგენეზში მნიშვნელობას ანიჭებენ ხორციანი კერძების გადაჭარბებულ ჭამას, ამის მაგალითად მეცნიერებს მეორე მსოფლიო ომის დრო, კერძოდ, ლენინგრადის ბლოკადა მოჰყავთ — ამ დროს ქალაქში მნიშვნელოვნად შემცირდა მწვავე აპენდიციტის შემთხვევები. არანაკლებ ხელშემწყობია ქრონიკული შეკრულობა, რაც ჭიანაწლავის გადავსებას იწვევს.

მწვავე შეტევის დროს ხშირად ჭიანაწლავის დანამატებში არავითარი მორფოლოგიური ცვლილებები არ მიმდინარეობს.

მწვავე აპენდიციტის კლინიკა: შეტევითი ტკივილი იწყება მუცლის ქვედა მარჯვენა ნახევარში, კერძოდ, ჭიანაწლავი სადაც მდებარეობს, იმ ადგილში. ზოგჯერ ტკივილი კუჭის არეში გადაეცემა. ტკივილი შეიძლება შარდის ბუშტის მიდამოებშიც დაფიქსირდეს. ამ დროს შარდვა გახშირებულია. მწვავე აპენდიციტს თან ახლავს ღებინება, მუცლის პრესის დაჭიმულობა. დასაწყისში იგი ადგილობრივი ხასიათისაა, შემდეგ გადაეცემა მთლიან მუცლის ღრუს.

მწვავე აპენდიციტს აღენიშნება სხვადასხვა კლინიკური სიმპტომები, რაც დიაგნოზის ზუსტ დადგენას აიოლებს.

1. ტკივილი ძლიერდება ავადმყოფის მარცხენა გვერდზე გადაბრუნებისას, რაც ანთებითი ორგანოს გადაადგილებით, დაჭიმვით არის გამოწვეული.

2. თეძოს ნაწილის არეში თითის დაჭერით ავადმყოფი ტკივილს გრძნობს ჭიანაწლავის ანთების ზონაში.

3. ექიმი თუ თითს დააჭერს მუცლის მარჯვენა ქვედა არეს, ავადმყოფი კი მარჯვენა კიდურს მოუხრელად ზემოთ ასწევს, ამ დროს ზემოთ იწევა ჭიანაწლავიც, რომელიც იჭედება კუნთსა და ხელის დაჭერის ადგილს შორის და ტკივილი ძლიერდება.

4. როდესაც ექიმი ხელისგულს გაატარებს მუცლის წინა კედელზე მარჯვენა ნეკთარკალიდან მარჯვენა თეძოს ძვლამდე, ტკივილი ძლიერდება.

მოზრდილი ადამიანი ზუსტად აფიქსირებს იმ ადგილს, საიდანაც იწყება შეტევა.

მწვავე აპენდიციტს ახასიათებს ძლიერი ტკივილი, ღებინება, მუცლის პრესის დაჭიმულობა, სისხლში ლეიკოციტების მომატება, ტემპერატურის აწევა. მწვავე აპენდიციტის დროს ოპერაციული ჩარევა გარდაუვალია. გახსოვდეთ, მუცლის ტკივილის დროს, თუ დარწმუნებული არ ხართ, რა გაწუხებთ, ცხელი აბაზანისა და ცხელი სათბურის გამოყენება დაუშვებელია.

## ბუნება მკურნალია

**ევკალიპტი**

სამედიცინო მიზნით იხმარება სხვადასხვა სახეობის ევკალიპტის ფოთოლი. მცენარე შემოტანილია ავსტრალიიდან. გავრცელებულია საქართველოს შავი ზღვისპირეთში. ფოთოლი არის მთელკიდიანი, ერთმანეთისგან განსხვავდება ფორმით და ზომით. მის ზედაპირზე ჩანს ზანგელა ლაქები — ეთერზეთების საცავები. სუნი სასიამოვნოა, გემო — მომწარო. ფოთოლი შეიცავს ეთერზეთებს და პოლიფენოლებს, რომლებსაც ანტიბაქტერიული მოქმედება ახასიათებს. აფთიაქებში იყიდება გამხმარი ფოთოლი. იგი გამოიყენება ყელის და ხახის ანთებითი პროცესისათვის, ინჰალაციისათვის, ჩირქოვანი ჭრილობების მოსაბანად.

**ნაყენის მომზადება:** 1 სუფრის კოვზ დანამცეცებული ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა წყალი და ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში. ინჰალაციისათვის შეიძლება გამოიყენოთ ევკალიპტის ზეთიც. 30 წვეთს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი და შეისუნთქეთ.

ევკალიპტის ფოთოლი სამკურნალოდ ვარგისია, თუ იგი ერთხელ მაინც ნაზამთრევია.

თირკმლის ჩაი — ტროპიკული მრავალწლოვანი მცენარეა, რომელსაც ჩვენში პლანტაციებზე აშენებენ. მისი გამხმარი ფოთოლი გამოიყენება როგორც შარდმდენი საშუალება თირკმლისა და საშარდე გზების დაავადებების დროს.

1 სუფრის კოვზ გამხმარ ფოთოლს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ 15 წუთი, გაცივების შემდეგ მიიღეთ ჭამის წინ ნახევარი საათით ადრე. ერთი ჭიქა ნაყენი 2-3 მიღების ნორმაა. ნაყენი ერთ თვემდე უნდა სვათ.


**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნივთიერებათა ცვლის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთინო

# მარგველაშვილი: უკრაინის გვერდით მტკიცედ ვდგავართ“

## საქართველოს პრეზიდენტმა კიევში ღირსების მარშში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უკრაინაში ჩავიდა, სადაც გუშინ, 22 თებერვალს, „ღირსების რევოლუციის“ წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა.

კიევში სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული ლიდერები ეროვნული ხელოვნებისა და კულტურის სამუზეუმო კომპლექსში შეიკრიბნენ, სადაც მათ პეტრო პოროშენკო პირადად მიესალმა და უკრაინაში განვითარებული მოვლენები გაიხსენა.

ლიდერებს შორის არაფორმალური საუბრები გაიმართა. შეკრების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა და სხვა დელეგაციების ხელმძღვანელებმა უკრაინის პრეზიდენტთან ერთად მიხაილოვის მოედანზე „უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო აგრესიის მტკიცებულებათა“ გამოფენა დაათვალიერეს, რომელიც აღმოსავლეთ უკრაინაში რუსული სამხედრო ტექნიკის არსებობასა და გამოყენებას ადასტურებს.

დოკუმენტურ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო უკრაინელი სამხედროების მიერ სამხედრო მოქმედებების დროს მოპოვებული და აღმოჩენილი 2014 წელს გამოშვებული ყუმბარმტყორცნები, რომლებიც არ იწარმოება უკრაინაში, ასევე ჯავშანტექნიკა და რუსეთში წარმოებული უპილოტო თვითმფრინავები, რომლებსაც 20 კილომეტრის მანძილზე შეუძლიათ სამიზნის ფოტოსურათებისა



და კოორდინატების გადაცემა.

— მომსწრენი ვართ ძალიან საინტერესო გამოფენის, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს რუსეთის ფედერაციის რეგულარული სამხედრო ნაწილების ყოფნას უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში და მათ პირდაპირ ჩართულობას ომში. დღეს კიევის დედაქალაქში ევროპის ქვეყნის ძალიან ბევრი ლიდერია ჩამოსული საქართველოს დელეგაციის ჩათვლით, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ჩვენს სრულ სოლიდარობას უკრაინელი ხალხის მიმართ“, — განაცხადა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრმა ზვიად კვაჭანტირაძემ.

კიევში ღირსების მარში ინსტიტუტსკაიას ქუჩიდან დაიწყო. მსვლელობაში მონაწილეობდნენ საქართველოს, ლიტვის, პოლონეთის, გერმანიის, მოლდოვის და სხვა ქვეყნების პრეზიდენტები. მათ შელკოვიჩნოის, გრუშევსკის ქუჩები და ევროპის მოედანი გაიარეს.

ღირსების მარში დამოუკიდებლობის მოედანზე დასრულდა, სადაც დაღუპულების სულების მოსახსენებელი პანაშვიდი გაიმართა.

— ძალიან მნიშვნელოვანია, მტკიცედ იდგე უკრაინის და სხვა ერთა თავისუფალი არჩევანის გვერდით, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა ერთიანობის მნიშვნელობას თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

— როდესაც მიმდინარეობს ბრძოლა შენი მეგობრების წინააღმდეგ, ძალიან მნიშვნელოვანია, მტკიცედ იდგე მათ გვერდით; მტკიცედ იდგე უკრაინის და სხვა ერთა თავისუფალი არჩევანის გვერდით, რასაც დღეს ქართველები და არა მარტო ქართველები — სხვა თავისუფლების მოყვარული ერები ვაფიქსირებთ ლიდერების დონეზე, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

# ხარკოვში ერთიანობის მარშის დროს აფეთქება მოხდა

ხარკოვში ერთიანობის მარშის დროს აფეთქება მოხდა. უკრაინული მედიის ინფორმაციით, ძლიერი აფეთქება მაშინ მოხდა, როცა აქტივისტები კოლონას აწყობდნენ, რათა თავისუფლების მოედნისკენ დაძრულიყვნენ. დაღუპულია სამი ადამიანი, მათ შორის ერთ-ერთი აქტივისტი — იგორ კომაჩევი.

უკრაინის უშიშროების სამსახურმა ტერაქტში სავარაუდო ეჭვმიტანილები დააკავა. ამის შესახებ უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსის მრჩეველმა მარკიან ლუბკივ-



სკიმ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ დაწერა.

„უშიშროების სამსახურმა დააკავა პირები, რომლებიც, შესაძლოა, ხარკოვში მომხდარი ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილეობდნენ“, — წერს ლუბკივსკი.

ამ ფონზე, აღმოსავლეთი უკრაინიდან ე.წ. გამიჯვნის ხაზიდან მძიმე შეიარაღების გაყვანის პროცესი უნდა დაიწყოს. შესაბამის დოკუმენტებს თვითგამოცხადებული დონეცკისა და ლუგანსკის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს. ინფორმაციას „უკრინფორმი“ ავრცელებს.

მინსკის შეთანხმების მიხედვით, „ბოევიკებმა“ უნდა გაიყვანონ ტექნიკა იმ პოზიციებამდე, რომლებზეც 19 სექტემბრამდე იმყოფებოდნენ, უკრაინამ კი იმ პოზიციამდე, რომელზეც მინსკის მეორე შეთანხმების გაფორმების დღისთვის იმყოფებოდნენ.

უკრაინა იძულებულია, რუსეთთან ფართომასშტაბიანი ომისთვის მოემზადოს, რისთვისაც გვესაჭიროება ლეტალური იარაღის მიღება, კერძოდ, კანადისგან. „ლიგა.ნეტ-ის“ ინფორმაციით, ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვადიმ პრისტაიკომ კანადურ რადიოსადგურ „სიბისისთან“ ინტერვიუში განაცხადა.

„ფსონები ძალიან მაღალია. არ გვინდა ვინმეს შეშინება, მაგრამ ფართომასშტაბიანი ომისთვის ვემზადებით და ველოდებით, რომ მსოფლიო ცოტა დაიძაბება. ყველას ეშინია ბირთვულ სახელმწიფოსთან ომის, მაგრამ ჩვენ უკვე აღარ გვეშინია — უკრაინამ უკვე დაკარგა უამრავი ადამიანი და ტერიტორია. როგორ საშიშადაც არ უნდა ჟღერდეს, რაიმე სახით უნდა შევაჩეროთ პუტინი და არა მხოლოდ უკრაინისა და ევროპის, არამედ რუსი ხალხის გადასარჩენადაც“, — აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

მისივე თქმით, უკრაინა ისურვებდა კანადისგან როგორც ფინანსური, ისე ლეტალური იარაღის სახით დახმარების მიღებას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა უკრაინის არმიას, დაიცვას ადამიანები.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის უკრაინასთან დაკავშირებით რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესების მიზანშეწონილობაზე „სერიოზული განხილვები“ მიმდინარეობს. უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ლონდონში ვიზიტისას განაცხადა.

მათი ინფორმაციით, კერი დარწმუნებულია, რომ დამატებითი სანქციების გადაწყვეტილებას დასავლელი მოკავშირეები მიიღებენ, თუ უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი დაირღვევა.

კერიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ვაშინგტონი კიევისთვის იარაღის მიწოდების შესაძლებლობის შესწავლას განაგრძობს.

ევროკავშირის საბჭო 23 თებერვალს რუსეთზე შემდგომი ზეწოლის თემაზე კონსულტაციებს გამართავს. „ლიგა.ნეტ-ის“ ინფორმაციით, ამის შესახებ ჟურნალისტებს ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა კიევში, დოკუმენტურ გამოფენაზე განუცხადა, რომელზეც უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის არმიის ყოფნის მტკიცებულებებია წარმოდგენილი.

„კონსულტაციებს ორშაბათიდან დავიწყებ იმისთვის, რომ რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ზომები გამკაცრდეს“, — აღნიშნა ტუსკმა. მისი თქმით, ევროკავშირმა, უპირველეს ყოვლისა რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები უნდა გააფართოოს. ტუსკის განცხადებით, ევროკავშირს გააჩნია გარკვეული შესაძლებლობები, რათა საზღვრის გასწვრივ მონიტორინგი გააუმჯობესოს.

ნატო რუსეთის მხრიდან თავდასხმისთვის მზად უნდა იყოს, — ამის შესახებ „გარდიანის“ ცნობით, ალიანსის ევროპაში გაერთიანებული ძალების მეთაურის თანაშემწემ, ბრიტანელმა გენერალმა ედრიან ბრედშოუმ განაცხადა. მისი თქმით, ნატო უნდა მოემზადოს მასშტაბური და სწრაფი რეაგირებისთვის რუსეთის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში.

ბრედშოუ ასევე აცხადებს, რომ რუსეთს შეუძლია გამოიყენოს თავისი რეგულარული ჯარები არა მხოლოდ სხვების დასაშინებლად, არამედ ნატო-ს წევრი ქვეყნების ტერიტორიების დასაპყრობადაც.

აშშ-ის თავდაცვის უწყებამ უკრაინის საჰაერო სივრცეში რუსეთის გააქტიურება დააფიქსირა. ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ სტივ უორენმა განაცხადა.

„ჩვენ ვაკვირდებით, უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის ინტერვენციის გაგრძელებას და ჩვენ დავაფიქსირეთ რუსეთის ავიაციის გააქტიურება მთელი რეგიონის გასწვრივ“, — განაცხადა უორენმა.

მისი თქმით, პენტაგონის სპეციალისტები ფლობენ ინფორმაციას, რომ მინსკში გაფორმებული შეთანხმების მიუხედავად რუსული შეიარაღების ნაკადი უკრაინაში არ შემცირებულა. მან აღნიშნა, რომ რუსეთის ქმედებები უკრაინაში სიტუაციის დესტაბილიზაციას ისახავს მიზნად.

პენტაგონმა რუსეთს მოუწოდა, პატივი სცეს მინსკის შეთანხმებებს.

# ანტიმაიდანი“ მოსკოვში

მოსკოვში მაიდანის წლისთავთან დაკავშირებით აქცია „ანტიმაიდანი“ გაიმართა. აქციის დევიზი იყო — „მაიდანს არ დავივიწყებთ, არ გაპატიებთ“.

რუსული მედიის ცნობით, აქციაზე დასასწრებად მოსახლეობა რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან და ქალაქიდან ჩავიდა.




უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი, ვიქტორ იანუკოვიჩი რუსულ „პირველ არხთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ის რაც შეიძლება მალე სამშობლოში დაბრუნდება. „როგორც კი მექნება შესაძლებლობა, დავბრუნდები და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ უკრაინის მოსახლეობას ცხოვრება გავუმარტივო“, — განაცხადა იანუკოვიჩმა.

უკრაინის უმაღლესმა რადამ 4 თებერვალს ვიქტორ იანუკოვიჩს ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის სტატუსი ჩამოართვა. უკრაინის კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურის სტატუსს სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას იმპიჩმენტის წესით არ გადააყენებენ. ვიქტორ იანუკოვიჩი 2010 წლის 25 თებერვალს აირჩიეს უკრაინის პრეზიდენტად, გასული წლის თებერვალში კი ის კიევში მასობრივი დემონსტრაციების შედეგად გადააყენეს. ამ დროისთვის ვიქტორ იანუკოვიჩის ადგილსამყოფელი უცნობია, ის სავარაუდოდ, კვლავ რუსეთში იმყოფება.

უკრაინის პრეზიდენტი, პეტრო პოროშენკო ვიქტორ იანუკოვიჩის განცხადებას ეხმაურება და ამბობს, რომ უკრაინა მას მოუთმენლად ელოდება. „ვფიქრობ, ეს უკრაინისთვის კარგი იქნება. თუმცა, დარწმუნებული არ ვარ, რომ მისთვისაც კარგი შედეგით დასრულდება. იანუკოვიჩს მოუთმენლად ველოდებით და მზად ვართ მასთან შესახვედრად. რაც უფრო მალე დაბრუნდება უკრაინაში, ქვეყნისთვის უკეთესი იქნება. დაბრუნდეს და ჩაუდგეს საპროტესტო მოძრაობას სათავეში. საუკეთესო შემთხვევაში, ის ციხეში აღმოჩნდება“, — განაცხადა პოროშენკომ.

# თურქეთმა სირიაში სამხედრო კოლონა შეიყვანა



თურქეთმა სირიაში სამხედრო კოლონა შეიყვანა. თურქმა სამხედროებმა საზღვარი ჩრდილოეთ სირიასთან გადაკვეთეს, ინფორმაციას „ნიუსრუ“ ავრცელებს. მათივე ცნობით, თურქეთის სამხედრო შენაერთები სულეიმან ხანის — ოსმალეთის იმპერიის დამაარსებლის ბაბუის საფლავის დასაცავად გაემართნენ.

თვითმხილველების თქმით, დიდი სამხედრო კოლონა ქალაქ ქობანის გავლით გაემართა. ამ ქალაქში ცოტა ხნის წინ „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკებსა“ და ქურთების თავდაცვის ძალებს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა.

„როიტერის“ ინფორმაციით, სირიის საზღვარზე გარდა სამხედროებისა, მძიმე ტექნიკა და ტანკებიც არის. ოპერაცია წარმატებით განხორციელდა, ინციდენტის დროს დაღუპულია მხოლოდ ერთი სამხედრო.

1921 წელს საფრანგეთთან საერთაშორისო შეთანხმების თანახმად, რომელიც იმ დროისათვის სირიის ამ ტერიტორიას აკონტროლებდა, გადაწყდა, რომ ადგილი მდინარე ევფრატის ნაპირზე, სადაც სულეიმან ხანის საფლავი მდებარეობს, თურქეთის სუვერენულ ტერიტორიად იქნეს მიჩნეული. საფლავს თურქეთის საპატიო ყარაული იცავს, დაახლოებით 40 სამხედროს ოდენობით.

სულეიმან ხანი მდინარე ევფრატის გადაკვეთისას დაიხრჩო და ის მდინარიდან ოდნავ მოშორებით დაკრძალეს, რომელსაც „თურქულ აკლდამას“ უწოდებენ.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## განცხადებები

### მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმი ყველანაირი გართულების მოხსნით და ღვიძლის გაწმენდით, „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“. პრეპერატი შეგიძლიათ ფარულად საკვებში შეურიოთ,. თამბაქოს მწეველობის მიტოვება (ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან) ნეტუროპათიითა და ფიტოთერაპიით. გარანტირებულად უსაფრთხო მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 599-65-43-66; 557-14-22-36 ნინო ექიმი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

### რემონტი

● ვასრულებ სამღებრო-„სამალიარო“ სამუშაოებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 599-26-18-55.

### სწავლა

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ფაშაევმა რუსთავს გამარჯვება წაართვა

**ქუთაისი – რუთავი 106:99**

**(22:20; 16:30; 29:20; 39:21)**

ქუთაისში გულშემატკივრებმა ჯადოსნური ბოლო მეოთხედი იხილეს, რისი მიზეზიც აზერბაიჯანელი ლეგიონერის, ზაურ ფაშაევის საოცარი თამაში იყო. რუსთაველები ბოლო პერიოდის წინ 11 ქულით იგებდნენ. თამაში რომ განახლდა, არაფერი მოასწავებდა, რომ სტუმრები დამარცხდებოდნენ – „რუსთავის" კალათბურთელები წარმატებით იხვეჭდნენ ქულებს და ხელჩასაჭიდ ლიდერობას ინარჩუნებდნენ. ზაურ ფაშაევმა მე-3 სამქულიანიც რომ ჩააგდო, ვითარება დაიძაბა. თამაშის დასრულებამდე 6 წუთი რჩებოდა და ქუთაისელთა ჩამორჩენა 6 ქულამდე შემცირდა. მომდევნო 1 წუთში აზერბაიჯანელმა უკანახაზელმა ზედიზედ კიდევ 2 სამიანი ჩააგდო, თუმცა რუსთაველთაგან აკაკი დვალიშვილიც აგროვებდა ქულებს და ანგარიშში სხვაობა მხოლოდ 5 ქულამდე შეიკვეცა – 85:89 დასრულებამდე 5 წუთით ადრე.

ფაშაევს სლოვენიელი ლეგიონერი მირზა სარალიაც შეეშველა, რომელმაც დასკვნით პერიოდში 10 ქულა ჩააგდო. სარალიას სამქულიანის, ორიანის და საჯარიმოს შემდეგ ანგარიში გათანაბრდა. ფაშაევს ბოლო მეოთ-



ხედში მე-6 სამქულიანი გოგა ცეკვავამ არ ჩააგდებინა, რომელმაც მოედნიდან გავარდნის ფასად მე-5 პერსონალური მიიღო, აზერბაიჯანელმა ლეგიონერმა კი სამივე საჯარიმო მიითვალა და „ქუთაისი" 94:91 დააწინაურა.

აზერბაიჯანელი და სლოვენიელი ლეგიონერის დიდებული თამაშით მოპოვებული ლიდერობა ქუთაისელებმა დარჩენილ 3 წუთში აღარ დათმეს და მიმდინარე სეზონში ალბათ ყველაზე გემრიელი გამარჯვება მოიპოვეს – 106:99.

ზაურ ფაშაევმა ბოლო მეოთხედში 20 ქულა ჩააგდო, მთლიანობაში კი 26 დაუგროვდა. ბომბარდირი მირზა სარალია გახდა 29 ქულით. სეზონის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა ანატოლი ბოისამ, რომელმაც 17 ქულა მიითვალა. რუსთაველთაგან საუკეთესო აკაკი დვალიშვილმა 32 ქულა, 11 მოხსნა და 5 პასი დააგროვა. ტერენ ოგლზბიმ კი სტუმრებს 24 ქულა და 10 პასი შეაწია.

**ბათუმი – მგზავრები არმია 59:61**

**(15:17; 16:15; 18:15; 10:14)**

დაძაბული მატჩი გაიმართა ბათუმში, სადაც ცხრილში ბოლო ადგილზე მყოფი, მიმდინარე სეზონში ერთადერთი გამარჯვების მომპოვებელი „მგზავრები-არმია" ჩავიდა და სენსაციური გამარჯვება მოიპოვა. ამ მატჩში გამოჩნდა, თუ რამდენს ნიშნავს ბათუმელთათვის ბიჯეი იანგი. ამერიკელი მექულე განაცხადში იყო, მაგრამ ავადმყოფობის გამო მოედანზე ვერ გავიდა.

სამაგიეროდ, ჯანზე იყო „მგზავრები-არმიას" ახალშენაძენი ადრიკ მაკკინლი, რომელმაც მთელი თამაშის მანძილზე საკუთარი მხრებით ათრია თავისი გუნდი და საბოლოოდ არმიელებს საამაყო გამარჯვება მოუტანა. მთელი თამაში ქულა-ქულაში წარიმართა, ლიდერი 16-ჯერ შეიცვალა და ფრეც 16-ჯერ დაფიქსირდა. ყველაფერი ბოლო წამებზე გაირკვა. 1 ქულით დაწინაურებული „მგზავრები-არმიას" ერთ-ერთმა მერაბ ბოქოლიშვილმა საფინალო სირენამდე 11 წამით ადრე ორივე საჯარიმო ააცილა. ამით ბათუმელებმა ვერ ისარგებლეს – ნიკ კელოგმა სამქულიანი ააცილა და როცა ბურთი მაკკინლიმ მოხსნა, მიმდინარე სუპერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი შედეგიც დაფიქსირდა.

19 ქულითა და 22 მოხსნით გამარჯვებაში ლომის წილი მაკკინლიმ დაიდო, ხოლო მერაბ ბოქოლიშვილის ანგარიშზე 17 ქულა დაგროვდა. „ბათუმში" 16 ქულით ბომბარდირი ირაკლი მიქელაძე გახდა, 15 დააგროვა კელოგმა, ხოლო კრის ფელჩერის ანგარიშზე ორმაგი დუბლი – 10 ქულა და 14 მოხსნა დაგროვდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 9 | 8 | 1 | 741:611 | 17 |
| 2.ქუთაისი | 10 | 7 | 3 | 792:766 | 17 |
| 3.რუსთავი | 10 | 6 | 4 | 838:801 | 16 |
| 4.შსს | 9 | 7 | 2 | 725:660 | 16 |
| 5.ბათუმი | 10 | 4 | 6 | 752:759 | 14 |
| 6.მგზავრები | 10 | 2 | 8 | 652:761 | 12 |
| 7.ოლიმპი | 9 | 3 | 6 | 710:748 | 12 |
| 8.სოხუმი | 9 | 1 | 8 | 685:789 | 10 |

# კახა ცხადაძე: პირადად ჩემ წინააღმდეგ სპეციალური კამპანია მიმდინარეობს"

აზერბაიჯანის ჩემპიონატის მორიგ ტურში, საქართველოს ნაკრების თავკაცის, კახა ცხადაძის „ინტერი" სტუმრად „აზალს" დაუზავდა – 1:1.

„აზერიფუტბოლის" ინფორმაციით, მატჩის დროს ინციდენტი მოხდა, რომელშიც „ინტერის" ქართველი ლეგიონერი ბაჩანა ცხადაძეც მონაწილეობდა – ქართველმა ფორვარდმა წაქცეულ ფეხბურთელს ჩაარტყა, ხოლო ინციდენტში მამამისიც ჩაერთო და „აზალის" ფეხბურთელს აგინა.

აღსანიშნავია, რომ სხვა არც ერთი აზერბაიჯანული წყარო ასეთ ინფორმაციას არ აქვეყნებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური ქართული ფეხბურთის გაშუქებით დაინტერესებულ მედია საშუალებებს თხოვნით მიმართავს.

იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ქვეყნის მედიაში აქტიური განხილვის საგანი ხდება კონკრეტული რეზონანსული ფაქტი, რომელიც დაკავშირებულია ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის საქმიანობასთან, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სასურველია ინფორმაცია გადამოწმდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურთან.

კახა ცხადაძე განვითარებულ მოვლენებს თავად განმარტავს.

**კახა ცხადაძე:**

– უსიამოვნო ინციდენტი მოხდა სათამაშო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, რის გამოც ვწუხვარ, მაგრამ მსურს განვმარტო ვითარება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ამ შეხვედრის დასრულების შემდეგ არანაირ ინციდენტში მონაწილეობა არ მიმიღია, ამას დაადასტურებენ ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ჩემ გვერდით იდგნენ, მათ შორის მოწინააღმდეგე გუნდის მთავარი მწვრთნელიც. ამ ინციდენტის შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთმა მედია საშუალებამ,



სამწუხაროდ კვლავ არასწორი ინტერპრეტაციით მიაწოდა ფეხბურთით დაინტერესებულ საზოგადოებას. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარეობს სპეციალური კამპანია პირადად ჩემ წინააღმდეგ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

რაც არ უნდა მაკრიტიკონ და ჩემ წინააღმდეგ არასწორი ინფორმაცია გაავრცელონ, მე წარმატებით ვაგრძელებ კლუბში საქმიანობას. ჩემთვის საამაყოა ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჩემი გუნდიდან ექვსი მოთამაშე გამოიძახა და ჯამში „ინტერის" 14 ფეხბურთელი სხვადასხვა ნაკრების წევრები არიან. ჩემთვის დიდი პატივია ამ გუნდში მუშაობა და ჩემი დამოკიდებულება აზერბაიჯანული ფეხბურთისადმი ყოველთვის პოზიტიურია. ამ ქვეყანაში უკვე ექვსი წელია ვმუშაობ და ჩემთვის გაუგებარია ეს მიზანმიმართული კამპანია, მითუმეტეს როდესაც ამ სეზონის ბოლოს კლუბი უნდა დავტოვო. დარწმუნებული ვარ, „ინტერი" გააგრძელებს წარმატებულ თამაშს აზერბაიჯანის ჩემპიონატში და გუნდთან ერთად მორიგ შედეგიან სეზონს ჩავატარებ.

თავის მხრივ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მედია-დეპარტამენტი ყოველთვის მზად არის აქტიურად ითანამშრომლოს ნებისმიერ დაინტერესებულ მედია საშუალებასთან და ხელი შეუწყოს ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებას.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# დინამო" და დილა" მდევართა ჯგუფს მოსწყდნენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რად დაამარცხა „სამტრედია" და კვლავ პირველ ადგილზე რჩება.

მატჩი საშუალო ტემპში დაიწყო და ორივე გუნდი მოედნის ცენტრში სათამაშო უპირატესობის მოპოვებას შეეცადა. მე– 11 წუთზე ვახტანგ ჭანტურიშვილმა მანუელი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ რევაზ თევდორაძემ ითამაშა კარგად. შეხვედრის მე– 20 წუთზე დინამოელებმა ეფექტურად გაითამაშეს კონტრშეტევა. სტეფან ბუკორაცმა ერთი ერთზე გაიყვანა მანუელი და ესპანელმა ფორვარდმაც საქართველოს ჩემპიონატში თავისი სადებიუტო გოლი გაიტანა. პირველ ტაიმში აღარაფერი შეცვლილა და შესვენებაზე „დინამო" უპირატესობით გავიდა.

მეორე ნახევარი მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და თორნიკე გორგიაშვილს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, თუმცა ლიბორ ჰრდლიჩკამ ითამაშა კარგად. „სამტრედიამ" ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ რეალურ ხიფათამდე საქმე არ მისულა. თბილისელებმა ტაიმის შუაწელში თამაში გაათანაბრეს, მალე კი, უპირატესობაც მოიპოვეს და საბოლოო გამარჯვებამდე საქმე მშვიდად მიიყვანეს.

**დინამო (ბთ) – მეტალურგი 2:0**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

ზღვისპირელებმა ბერიაშვილისა და ტატანაშვილის გოლებით იმარჯვეს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე აინაცვლეს.

**ცხინვალი – დილა 0:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

დინამოელთა მდევარმა გორის „დილამ" სტუმრად დაამარცხა „ცხინვალი" და ლიდერს კვლავ ქულით ჩამორჩება. ერთადერთი გოლი 61-ე წუთზე მიხეილ გორელიშვილმა გაიტანა.

**ვიტ ჯორჯია – მერანი 2:2**

**მცხეთა. მცხეთა პარკი**

მატჩი უხვგოლიანი გამოდგა. ჯერ მარტვილელები იგებდნენ, შემდეგ ვეტერინარები. საბოლოოდ, ფრე.

**ჩიხურა – სიონი 2:0**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

ზემო იმერლებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანეს მეტოქეს და სატურნირო ცხრილში გადაასწრეს.

ქუთაისის „ტორპედოსა" და ფოთის „კოლხეთის" მატჩი გვიან გაიმართა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 16 | 10 | 2 | 4 | 27-13 | 32 |
| დილა | 16 | 9 | 4 | 3 | 23-13 | 31 |
| დინამო (ბთ) | 16 | 8 | 3 | 5 | 19-14 | 27 |
| სამტრედია | 16 | 7 | 4 | 5 | 17-12 | 25 |
| ჩიხურა | 16 | 7 | 4 | 5 | 19-17 | 25 |
| სპარტაკი | 16 | 7 | 3 | 6 | 15-22 | 24 |
| მეტალურგი | 16 | 6 | 5 | 5 | 19-17 | 23 |
| გურია | 16 | 5 | 7 | 4 | 17-23 | 22 |
| მერანი | 16 | 5 | 6 | 5 | 13-12 | 21 |
| ზესტაფონი | 16 | 4 | 7 | 5 | 29-23 | 19 |
| შუქურა | 16 | 4 | 6 | 6 | 14-18 | 18 |
| კოლხეთი | 15 | 4 | 5 | 6 | 13-17 | 17 |
| ტორპედო | 15 | 3 | 7 | 5 | 17-18 | 16 |
| ზუგდიდი | 16 | 3 | 6 | 7 | 9-17 | 15 |
| სიონი | 16 | 3 | 5 | 8 | 12-21 | 14 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 3 | 4 | 9 | 16-22 | 13 |

# შედეგები

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-სტოკი ........................ 1:2
კრ.პალასი-არსენალი ..................... 1:2
სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი ..... 0:0
სუონსი-მანჩესტერი ..................... 2:1
ჰალი-ქპრ ...................................... 2:1
ჩელსი-ბარნლი ............................. 1:1
სიტი-ნიუკასლი ............................. 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 26 | 18 | 6 | 2 | 56-22 | 60 |
| სიტი | 26 | 16 | 7 | 3 | 56-25 | 55 |
| არსენალი | 26 | 14 | 6 | 6 | 49-29 | 48 |
| მანჩესტერი | 26 | 13 | 8 | 5 | 44-26 | 47 |
| საუთჰემპტონი | 25 | 14 | 4 | 7 | 38-17 | 46 |
| ტოტენჰემი | 25 | 13 | 4 | 8 | 39-34 | 43 |
| ლივერპული | 25 | 12 | 6 | 7 | 36-29 | 42 |
| ვესტ ჰემი | 25 | 10 | 8 | 7 | 36-28 | 38 |
| სუონსი | 26 | 10 | 7 | 9 | 30-34 | 37 |
| სტოკი | 26 | 10 | 6 | 10 | 30-34 | 36 |
| ნიუკასლი | 26 | 8 | 8 | 10 | 31-42 | 32 |
| ევერტონი | 25 | 6 | 9 | 10 | 31-35 | 27 |
| კრ. პალასი | 26 | 6 | 9 | 11 | 28-37 | 27 |
| ვესტ ბრომვიჩი | 26 | 6 | 9 | 11 | 24-34 | 27 |
| ჰალი | 26 | 6 | 8 | 12 | 25-35 | 26 |
| სანდერლენდი | 26 | 4 | 13 | 9 | 22-36 | 25 |
| ქპრ | 26 | 6 | 4 | 16 | 27-45 | 22 |
| ბარნლი | 26 | 4 | 10 | 12 | 25-44 | 22 |
| ასტონ ვილა | 26 | 5 | 7 | 14 | 13-36 | 22 |
| ლესტერი | 25 | 4 | 5 | 16 | 22-40 | 17 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მიდლსბრო-ლიდსი ........................ 0:1
ბლექბერნი-ბლექპული .................. 1:1
ბრაიტონი-ბირმინგემი .................. 4:3
ბრენტფორდი-ბორმნუთი............... 3:1
ვულვზი-როტერჰემი ...................... 5:0
დერბი-უენსდი ............................... 3:2
იფსვიჩი-რედინგი .......................... 0:1
მილუოლი-ფულემი ........................ 0:0
ნოტინგემი-ბოლტონი..................... 4:1
უოტფორდი-ნორვიჩი .................... 0:3
ჰადერსფილდი-კარდიფი .............. 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბარსელონა-მალაგა ....................... 0:1
კორდობა-ვალენსია ....................... 1:2
ატლეტიკო-ალმერია ...................... 3:0
დეპორტივო-სელტა ........................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 23 | 19 | 0 | 4 | 72-22 | 57 |
| ბარსელონა | 24 | 18 | 2 | 4 | 67-14 | 56 |
| ატლეტიკო | 24 | 17 | 2 | 5 | 50-22 | 53 |
| ვალენსია | 24 | 15 | 5 | 4 | 43-21 | 50 |
| სევილია | 23 | 14 | 3 | 6 | 39-26 | 45 |
| ვილიარეალი | 23 | 12 | 5 | 6 | 37-22 | 41 |
| მალაგა | 24 | 11 | 5 | 8 | 26-27 | 38 |
| სელტა | 24 | 8 | 7 | 9 | 25-24 | 31 |
| ესპანიოლი | 24 | 8 | 5 | 11 | 31-36 | 29 |
| ეიბარი | 23 | 7 | 6 | 10 | 25-32 | 27 |
| ხეტაფე | 24 | 7 | 5 | 12 | 20-32 | 26 |
| რაიო | 23 | 8 | 2 | 13 | 24-40 | 26 |
| სოსიედადი | 23 | 5 | 9 | 9 | 24-31 | 24 |
| ბილბაო | 23 | 6 | 6 | 11 | 20-31 | 24 |
| დეპორტივო | 24 | 6 | 6 | 12 | 20-38 | 24 |
| ალმერია | 24 | 6 | 5 | 13 | 22-39 | 23 |
| ელჩე | 23 | 6 | 5 | 12 | 21-42 | 23 |
| გრანადა | 23 | 3 | 10 | 10 | 14-35 | 19 |
| ლევანტე | 23 | 4 | 7 | 12 | 17-43 | 19 |
| კორდობა | 24 | 3 | 9 | 12 | 18-38 | 18 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

რასინგი-ლეგანესი ......................... 1:2
მალიორკა-ოსასუნა ....................... 3:0
ალკორკონი-ლას პალმასი ............. 0:0
ბეტისი-ხირონა .............................. 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ლევერკუზენი ............. 2:2
მაინცი-აინტრახტი ......................... 3:1
პადერბორნი-ბაიერნი ................... 0:6
ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი .............. 1:1
შალკე-ვერდერი ............................ 1:1
კიოლნი-ჰანოვერი ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 22 | 17 | 4 | 1 | 59-9 | 55 |
| ვოლფსბურგი | 21 | 13 | 5 | 3 | 46-23 | 44 |
| გლადბახი | 21 | 10 | 6 | 5 | 28-17 | 36 |
| შალკე | 22 | 10 | 5 | 7 | 32-24 | 35 |
| აუგსბურგი | 22 | 11 | 2 | 9 | 32-29 | 35 |
| ლევერკუზენი | 22 | 8 | 9 | 5 | 36-29 | 33 |
| ჰოფენჰაიმი | 22 | 8 | 6 | 8 | 34-35 | 30 |
| ვერდერი | 22 | 8 | 6 | 8 | 36-44 | 30 |
| აინტრახტი | 22 | 7 | 7 | 8 | 40-44 | 28 |
| ჰანოვერი | 22 | 7 | 5 | 10 | 25-33 | 26 |
| მაინცი | 22 | 5 | 10 | 7 | 30-31 | 25 |
| დორტმუნდი | 22 | 7 | 4 | 11 | 28-31 | 25 |
| კიოლნი | 22 | 6 | 7 | 9 | 20-25 | 25 |
| ჰამბურგი | 21 | 6 | 5 | 10 | 14-30 | 23 |
| პადერბორნი | 22 | 5 | 8 | 9 | 23-41 | 23 |
| ფრაიბურგი | 22 | 4 | 10 | 8 | 24-31 | 22 |
| ჰერტა | 21 | 6 | 3 | 12 | 26-40 | 21 |
| შტუტგარტი | 22 | 4 | 6 | 12 | 23-40 | 18 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-ბოხუმი ........................ 0:0
მიუნხენ 1860-ზ.პაული ................. 2:1

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-ჯენოა .............. გადაიდო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 24 | 17 | 6 | 1 | 51-13 | 57 |
| რომა | 23 | 13 | 8 | 2 | 36-17 | 47 |
| ნაპოლი | 23 | 12 | 6 | 5 | 42-30 | 42 |
| ფიორენტინა | 23 | 10 | 8 | 5 | 35-23 | 38 |
| ლაციო | 23 | 11 | 4 | 8 | 38-26 | 37 |
| ჯენოა | 23 | 9 | 8 | 6 | 35-28 | 35 |
| სამპდორია | 23 | 8 | 11 | 4 | 29-26 | 35 |
| პალერმო | 23 | 8 | 9 | 6 | 37-37 | 33 |
| ტორინო | 23 | 8 | 8 | 7 | 26-24 | 32 |
| ინტერი | 23 | 8 | 8 | 7 | 37-30 | 32 |
| მილანი | 23 | 7 | 9 | 7 | 33-30 | 30 |
| სასუოლო | 23 | 6 | 11 | 6 | 29-33 | 29 |
| უდინეზე | 23 | 7 | 7 | 9 | 26-31 | 28 |
| ემპოლი | 23 | 4 | 12 | 7 | 22-27 | 24 |
| კიევო | 23 | 6 | 6 | 11 | 18-27 | 24 |
| ვერონა | 23 | 6 | 6 | 11 | 26-42 | 24 |
| ატალანტა | 24 | 5 | 8 | 11 | 21-35 | 23 |
| კალიარი | 23 | 4 | 8 | 11 | 30-43 | 20 |
| ჩეზენა | 23 | 3 | 7 | 13 | 23-45 | 16 |
| პარმა | 23 | 3 | 2 | 18 | 20-47 | 10 |

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-პერუჯა ................................ 1:2
ვიჩენცა-კროტონე .......................... 1:0
კარპი-ვირტუსი ............................. 0:0
სპეცია-მოდენა .............................. 3:2
ტერნანა-ლატინა ........................... 0:2
ტრაპანი-ვარეზე ............................ 0:0
ფროსინონე-პრო ვერჩელი ............ 3:2
ჩიტადელა-ბოლონია ..................... 0:1
ბარი-ლანჩანო .............................. 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-ტულუზა ................................. 3:1
კაენი-ლანსი ................................. 4:1
რენი-ბორდო ................................. 1:1
ბასტია-ლილი ................................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 26 | 14 | 10 | 2 | 46-23 | 52 |
| ლიონი | 25 | 15 | 6 | 4 | 49-19 | 51 |
| მარსელი | 25 | 15 | 4 | 6 | 46-25 | 49 |
| მონაკო | 25 | 12 | 7 | 6 | 26-19 | 43 |
| სტ. ეტიენი | 25 | 11 | 8 | 6 | 27-19 | 41 |
| ბორდო | 26 | 11 | 8 | 7 | 31-31 | 41 |
| მონპელიე | 24 | 10 | 6 | 8 | 31-24 | 36 |
| გენგამი | 25 | 11 | 2 | 12 | 30-36 | 35 |
| ნიცა | 26 | 9 | 7 | 10 | 28-30 | 34 |
| ბასტია | 26 | 8 | 9 | 9 | 28-28 | 33 |
| ნანტი | 25 | 8 | 9 | 8 | 20-25 | 33 |
| ლილი | 26 | 8 | 8 | 10 | 21-23 | 32 |
| რენი | 26 | 8 | 8 | 10 | 26-34 | 32 |
| კაენი | 26 | 8 | 7 | 11 | 39-38 | 31 |
| რეიმსი | 25 | 8 | 6 | 11 | 30-42 | 30 |
| ლორიანი | 25 | 8 | 4 | 13 | 29-34 | 28 |
| ტულუზა | 26 | 8 | 4 | 14 | 27-40 | 28 |
| ევიანი | 25 | 8 | 2 | 15 | 26-40 | 26 |
| ლანსი | 26 | 5 | 7 | 14 | 25-38 | 22 |
| მეცი | 25 | 5 | 6 | 14 | 19-36 | 21 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ტრუა-ლე ავრი .............................. 2:2

**ჰოლანდია. ეჩედივიზიონი**

დენ ჰააგი-ზვოლე .......................... 3:2
იგლზი-ალკმაარი ........................... 0:2
ერაკლესი-უტრეხტი ....................... 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბრაგა-ნასიონალი .......................... 3:1
სეტუბალი-პენაფიელი ................... 0:1
მორიერენშე-ბენფიკა .................... 1:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ციურიხი ................... 0:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-სტ.მირენი ..................... 3:0
დ.იუნაიტედი-სტ.ჯონსონი ........... 0:2
ინვერნესი-კილმანროკი ................. 3:3
მოზერველი-დანდი ........................ 0:1
პარტიკი-როსი ............................... 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-ალტახი ........................... 5:2
შტურმი-ნოიშტადი ......................... 3:3

**ბელგია. პროლიგა**

ლოკერენი-მუსკრონი ..................... 1:0
კორტრაიკი-ვესტერლო ................. 6:0
ოსტენდე-შარლერუა ..................... 1:3
სერკლი-ვარეგემი ......................... 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანთრათიკოსი-პანეთოლიკოსი .... 0:0
კალონისი-იანინა .......................... 1:0
ვერია-პაოკი ................................. 1:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ისთანბული-გაზიანთები ................ 1:0
ბურსა-რიზე .................................. 1:1
სივასი-გალათასარაი ..................... 2:3

**ჩეხეთი. სინოტლიგა**

ბოჰემიანსი 1905-იიჰლავა ............. 0:0
ბრნო-დუკლა ................................. 0:1
ბოლესლავი-ჰრადეც კრალოვე ..... 2:2
ლიბერეცი-სლავია ........................ 1:5
ტეპლიცე-ბანიკი ........................... 1:0
პლზენი-ბუდეოვიცე ...................... 6:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეჩნა-გურნიკი ............................. 0:1
ლეხია-ზავიშა ............................... 0:0
შლიონსკი-იაგელონია .................. 0:1

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ესბიერგი ................. 1:3

**მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი**

[illegible]

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# ტომაშევსკი ისევ ლიდერია

თბილისში მიმდინარე ფიდეს გრან პრის მესამე ეტაპის ორი ტურის პარტიები გათამაშდა. მე-5 ტურის ტურის ყველაზე საინტერესო პარტია მონაწილეების აქტიური სტილიდან გამომდინარე ჯობავა-მამედიაროვის შეხვედრა იყო. თუმცა, ამ შეჯიბრის განმავლობაში ვერცერთი მათგანი ვერ აჩვენებს თავის საჭადრაკო მონაცემების შესაფერ თამაშს. თუმცა, ამ პარტიაში ჯობავამ ძალიან რისკიანად ითამაშა. თეთრი ფიგურებით მოთამაშე ქართველმა დიდოსტატმა დებიუტშივე დაიწყო ექსპერიმენტები, რომელსაც პაიკის და მხედრის საეჭვო შეწირვაც მიაყოლა.



ვა-ბანკის სტილში თამაში ჯობავასთვის აშკარად წარმატების მომტანი აღმოჩნდა და მეტოქის რამდენიმე შეცდომის შემდეგ პარტიის ბედი თავის სასარგებლოდ შემოატრიალა.

რეკორდულად სწრაფად დაფიქსირდა პირველი ფრე. იაკოვენკომ გრიშუკთან შეხვედრაში სამჯერ გაიმეორა სვლები და 30 სვლამდე ყაიმის აკრძალვასაც აუარა გვერდი. მეტოქეებმა ძველინდური დაცვა ითამაშეს და მეათე სვლიდან შეუდგნენ სვლების გამეორებას.

ვაშიე-ლაგრავის და რაჯაბოვის პარტიაში 37-სვლიანი ბრძოლის შემდგე მეტოქეები მშვიდად დაშორდნენ ერთმანეთს. გრიუნფელდის დაცვის უპრეტენზიო სისტემა გაითამაშეს კასიმჟანოვმა და სვიდლერმა, მაგრამ თითქმის თანაბარ პოზიციაში სვიდლერმა 23-ე სვლაზე უხეირო სვლა გააკეთა და წააგო. ტურნირის ლიდერის ტომაშევსკის და მისი უახლოესი მდევარის, ანიშ გირის დაპირისპირება 6 საათის გაგრძელდა — საბოლოოდ, ყაიმი. ყველაზე ბოლოს დაამთავრეს ასპარეზობა ანდრეიკინმა და დომინგესმა. რუსი დიდოსტატი თითქმის 40 სვლა ცდილობდა ფიგურის გარეშე პოზიციის დაცვას, თუმცა მისმა გარჯამ ფუჭად ჩაიარა.

მე-6 ტურში მხოლოდ თეთრებით მოთამაშე თემურ რაჯაბოვმა და პიტერ სვიდლერმა იმარჯვეს. აზერბაიჯანელმა მოჭადრაკემ ტურნირის რეიტინგლიდერი ალექსანდრ გრიშუკი დაამარცხა, ხოლო სვიდლერმა რუს ანდრეი კარიაკინს სძლია.

59-ე სვლამდე იბრძოლეს ანიშ გირმა და ბაადურ ჯობავამ, მაგრამ გამარჯვებული ვერ გამოავლინეს. ასევე ყაიმით დასრულდა შახრიარ მამედიაროვი-დმიტრი იაკოვენკო, ლეინერ დომინგესი-ევგენი ტომაშევსკი და მქსიმ ვაში-ლაგრავი-რუსტამ კასიმჯანოვის პარტიები.

სატურნირო ცხრილი 6 ტურის შემდეგ: ევგენი ტომაშევსკი — 4,5 ქულა; რუსტამ კასიმჯანოვი, თემურ რაჯაბოვი, ლეინერ როდრიგესი, დმიტრი იაკოვენკო, ანიშ გირი — 3,5; ალექსანდერ გრიშუკი — 3; შახრიარ მამრდიაროვი, პეტერ სვიდლერი, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი — 2,5; ბაადურ ჯობავა — 2; დმიტრი ანდრეიკინი — 1,5.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## fcnhjghjuyjpb 23 თებერვლისთვის

**ღტპ'ბ** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **რეპჯ** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ნ.ეგტ,ბ** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **რბპხ[ბ,ბ** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **ქჯვბ** — საღამო მშვენიერი იქნება, გელით რომანტიკული შეხვედრა. **მფკოეკბ** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ცფცოჯპბ** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ქპბფყრფკბ** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, უფროსობას თვალში მოხვდებით. **ვიდბკლჯცფყბ** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ს[ბც პმფ** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი დააფიქსირეთ. **ვტპო.ეკბ** — ეს დღე მშვიდად ჩაივლის, მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება. **სტღპტ,ბ** — თქვენი საქმე წინ წავა, მთავარია არ მოდუნდეთ.

უბცეჰდტ,ს ,ტცყბტჰ ცქტც=

# ბოსტონელებს ფანჯრებიდან თოვლში ხტომა აუკრძალეს



მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონის მერმა მარტინ უოლშმა ადგილობრივ მცხოვრებთ მოუწოდა, თავი შეიკავონ სახლის ფანჯრებიდან თოვლის ნამქერში გადახტომისგან. შესაბამისი განცხადება მან მას შემდეგ გააკეთა, როდესაც მოქალაქეებმა ასეთი ქმედებების ამსახველი ვიდეო რგოლების გამოქვეყნება დაიწყეს ინტერნეტში.

— ყველას გთხოვთ შეწყვიტოთ ეს სიგიჟე, რომელშიც მოზრდილი ადამიანები მონაწილეობენ. ეს სისულელეა, ასე შეიძლება ტრაგიკულად დაასრულოთ სიცოცხლე, — განაცხადა უოლშმა პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, ბოსტონი სამთო-სათხილამურო კურორტი არ არის, არამედ ის არის ქალაქი, რომელშიც შესაბამისი სამსახურები ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად გაწმინდონ ქუჩები თოვლისგან.

— ახლა ყველაზე ნაკლებად ის გვჭირდება, რომ შეტყობინება მივიღოთ იმასთან დაკავშირებით, რომ ვიღაც ფანჯრიდან გადმოხტა უბრალოდ თავშესაქცევად და ამის გამო რაიმე დაიშავა, — დაამატა ქალაქის მერმა.

მიმდინარე წლის თებერვალმა ბოსტონში თოვლის საფარის ყველა ადრინდელი რეკორდი მოხსნა. ქალაქში ნორმაზე 10-ჯერ მეტი ნალექი მოვიდა, ზოგიერთი მონაცემით, ბოსტონში ზოგიერთ ადგილებში ნამქერის სიმაღლე სამ მეტრს აღწევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ნიუ იორკის დეფილეს ვარსკვლავები ინვალიდი მოდელები გახდნენ

ნიუ იორკში მიმდინარე მოდის კვირეულის ჩვენებაში მონაწილეობა მიიღეს ინვალიდის ეტლში მჯდომმა მოდელებმა, ასევე მამაკაცმა მანეკენმა, რომელსაც ცალი ფეხი ამპუტირებული აქვს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები გახდნენ მულტიბრენდ ფტლ მოდა-ს დეფილეს ვარსკვლავები. მათ ერთდროულად რამდენიმე იტალიელი დიზაინერის კოლექციის ჩვენებაში მიიღეს მონაწილეობა.

ინვალიდის ეტლში მჯდომმა გოგონებმა წარმოადგინეს კაბები და სხვადასხვა ჩასაცმელები, რომლებიც იტალიელმა მოდელიერებმა შექმნეს 2015 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის. მოდის ისტორიაში პირველი ცალფეხა მამაკაცი-მანეკენი ჯეკ ეიერსი მხოლოდ ჯინსებში გამოაწყვეს, ხოლო სხეულის ზედა ნაწილი მსხვილი დროებითი სვირინგით დაუმშვენეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეიერსმა ფეხი 16 წლის ასაკში დაკარგა, რისი მიზეზიც დაბადებიდან თანდაყოლილი ძვლის ქსოვილის დაავადება გახდა.

— არ ვიცოდი, თუ რისი მოლოდინი უნდა მქონოდა ამ შოუდან. უბრალოდ, მსურდა მეჩვენებინა, რომ შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობები არაფერში არ უნდა ზღუდავდეს ადამიანს, — განაცხადა ეიერსმა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან არასტანდარტული მოდელები დეფილეზე ლონდონის მოდის სახლის სააგენტომ გამოგზავნა, რომელიც ცდილობს, რომ შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე ადამიანების მოდის ინდუსტრიაში ინტეგრირებას შეუწყოს ხელი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ამერიკის საუკეთესო ძაღლად ბიგლის ჯიშის წარმომადგენელი აღიარეს



ნიუ-იორკში გამართული დოგ-შოუს გამარჯვებული გახდა ბიგლის ჯიშის ოთხი წლის ძაღლი, სახელად მისს პი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მსაჯები დიდი ხნის მანძილზე ვერ ახერხებდნენ გამარჯვებულის გამოვლენას, ხოლო როდესაც, ბოლოს და ბოლოს, გამარჯვებული გამოაცხადეს, ეს სიურპრიზად იქცა როგორც მაყურებლებისთვის, რომლებიც სულ სხვა ძაღლებს გულშემატკივრობდნენ, ასევე მისს პის პატრონისთვისაც.

ბიგლის პატრონმა უილ ალექსანდრმა განაცხადა, რომ „ძაღლი დამშეული, ხოლო თავად შოკირებული ვარ“. მან ასევე აღნიშნა, რომ ძაღლმა არ დააღალატა. მას ერთი შეცდომაც კი არ დაუშვია სხვადასხვა საკონკურსო გამოცდის დროს.

ღონისძიების სტუმრები გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ ძაღლს სახელად მატისს, რომელიც, სხვათა შორის, ქვეყნის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ერთ-ერთ შინაურ ცხოველს ნათესავად ერგება. მისს პიმ შეჯიბრში აჯობა ასევე კონკურსში მონაწილე ში-ტცუს, რომლის პატრონია პეტი ჰერსტი, ჰერსტების მედიაიმპერიის მემკვიდრე.

გამარჯვებულ ძაღლს ერთი წლით ენიჭება „ამერიკის ძაღლის“ წოდება. ის მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ფოტოსესიებსა და ტელეშოუში.

ეს შოუ ამერიკაში 1877 წლიდან იმართება და კენტუკი დერბის დოღის შემდეგ ყველაზე ხანდაზმულ შეჯიბრებად ითვლება აშშ-ში. თავდაპირველად, დოგ-შოუში მხოლოდ მონადირე ჯიშის ძაღლები იღებდნენ მონაწილეობას, ძირითადად სეტერები და პოინტერები, მაგრამ შემდეგ მასში მონაწილეთა სია გაფართოვდა, ხოლო 1948 წლიდან კონკურსი პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კულტურა

# თბილისში მარო მაყაშვილის კლუბი დაარსდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოკუპაციის მუზეუმში მარო მაყაშვილის კლუბის პრეზენტაცია გაიმართა. ამ კლუბის წარდგინება მისმა ორგანიზატორებმა სპეციალურად დაამთხვიეს მარო მაყაშვილის გარდაცვალების დღეს. იდეის ავტორები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები არიან. მარო მაყაშვილის სახელობის კლუბის მხარდამჭერი საქართველოს ეროვნული მუზეუმია.

მარო მაყაშვილის სახელობის კლუბის მიზანია, ჩაატაროს აქციები ქართველი მეომრების, საქართველოს გამოჩენილი მოღვაწეების, გარკვეული საჭიროების მქონე ადამიანების მხარდასაჭერად. ამით კლუბის წევრები უღრმეს პატივისცემას გამოხატავენ საქართველოსათვის დამაშვრალი ადამიანების მიმართ. მათთვის, როგორც მომავალი ექთნებისთვის უმნიშვნელოვანესია მარო მაყაშვილის ცხოვრებისეული მრწამსის არდავიწყება. კლუბი თავისი საქმიანობის ფარგლებში გეგმავს თანამშრომლობას სხვადასხვა დაწესებულებებთან, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას საქართველოსთვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის, საქართველოს სამხედრო სამსახურში მყოფი გამორჩეული პირების და საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ღვაწლის მქონე ადამიანებისადმი ყურადღებისა და პატივისცემის გამოსახატავად.

მარო მაყაშვილი წითელი არმიის შემოჭრის დღეებში, 19 წლის ასაკში მოხალისედ წავიდა ფრონტზე, წითელ ჯვარში ჩაეწერა მოწყალების დად და კოჯრისკენ მიმავალ სანიტარულ რაზმს შეუერთდა. ის სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში ყუმბარის ნამსხვრევით. მარო მაყაშვილი იუნკრებთან ერთად ყოფილი სამხედრო ტაძრის ეზოში დაკრძალეს, რომელიც ამჟამად რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობის ტერიტორიაზეა განთავსებული. შემორჩენილია მარო მაყაშვილის დღიურები და წერილები. ის ლიტერატურის მუზეუმმა წიგნად გამოსცა. ზაქარია ფალიაშვილმა კი მარო მაყაშვილის სახელის უკვდავსაყოფად თავის ოპერაში „დაისი“, მთავარ გმირს მარო დაარქვა.

# ინდოელმა პატარძალმა საქმრო ქორწილში შეიცვალა

ინდოეთის ქალაქ რამპურში პატარძალმა საქმრო პირდაპირ საქორწინო ცერემონიის დროს შეცვალა.

პატარძალმა ცერემონიაზე დამსწრე ერთ-ერთ სტუმარზე გათხოვების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, როდესაც პირდაპირ საზეიმო ღონისძიების დროს მის საქმროს ეპილეფსიის შეტევა დაემართა.



თვითმხილველთა თქმით, თვითონ იმ ფაქტმა, რომ მომავალმა მეუღლემ მას საკუთარი ქრონიკული დაავადების თაობაზე ინფორმაცია დაუმალა, გოგონა მეტად გააბრაზა. მან განაცხადა, რომ საქმროს ის ამ დაავადების თაობაზე ქორწილამდე უნდა ჩაეყენებინა საქმის კურსში.

გოგონას ახალი რჩეული კი, არ შემდგარი სასიძოს შორებელი ნათესავი გახდა. ქორწილის სტუმრებმა განაცხადეს, რომ გოგონას ახალ რჩეულს დიდხანს არ დასჭირვებია იმაში დარწმუნება, რომ სიძის კუთვნილ ადგილზე თავდაპირველი კანდიდატი შეეცვალა. საქმის ასეთმა განვითარებამ, რა თქმა უნდა, თავის მხრივ მეტად გაანაწყენა უარყოფილი საქმროს ოჯახის წევრები და მათ საჩივარი შეიტანეს პოლიციაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი



●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

— სახეზე რა დაგემართა?

— გუშინ სავარჯიშო დარბაზში ვიყავი, მინდა ფორმაში ვიყო.

— ეგ რა შუაშია, მე იმას გეკითხები, სახეზე რა გჭირს???

— მერე, დამაცადე! სავარჯიშო დარბაზში ერთი დაკუნთული ტიპი გირებს ათამაშებდა და ერთი გირი ხელიდან გაუვარდა...

— და შენ დაგეცა?

— არა, მასვე დაეცა ფეხზე.

— მერე შენი სახე რა შუაშია?

— გამეცინა...

●●●

დამშვიდობება ინგლისურად — მიდის და არც კი გემშვიდობება.

დამშვიდობება რუსულად — მეათედ გემშვიდობება, მაგრამ ადგილიდან ფეხს არ იცვლის.

●●●

ცოლ-ქმარი მორიგი ჩხუბის შემდეგ ერთმანეთს ხმას არ სცემენ. გარკვეული დროის შემდეგ ქალს გულმა ვეღარ მოუთმინა და შერიგება გადაწყვიტა. ქმარს ეუბნება:

— კარგი, კარგი, ნუ იბერები, ორივე დამნაშავენი ვართ, — მცირე პაუზის შემდეგ კი გააგრძელა: — განსაკუთრებით შენ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ცhიფყდჯჰლბ



1. ..., იგრეკი, ზეტი; 2. ხეთების ქალღმერთი; 3. რაიმე უნარის დაჩლუნგება, დაკარგვა; 4. ბიბლიური პერსონაჟი; 5. ხელოვნური ბოჭკო; 6. ჟან რენოს კინოროლი; 7. ნიგერიის ფულის ერთეული; 8. ქალაქი იაპონიაში; 9. მშვილდით სასროლი ჯოხი; 10. ტურგენევის მოთხრობა; 11. ანტილოპების გვარის ცხოველი; 12. ლოტოს მსგავსი თამაში; 13. ამონი; 14. ამერიკული თოჯინა; 15. მემამულე თურქეთში (ძვ.); 16. ცირკის მოედანი; 17. სატურნის თანამგზავრი; 18. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 19. პირველი ტელეარხის საინფორმაციო გადაცემა; 20. თალი; 21. განსჯის პროდუქტი; 22. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 23. იაპონიის ფულის ერთეული; 24. მდინარე აზიაში; 25. სასიმინდე; 26. ღვინის ობი; 27. ქსენოფონტის თხზულება; 28. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 29. საარჩევნო ყუთი; 30. ფრანგული საწებელი; 31. მოსწავლის ნივთი; 32. იტალიური „ნიღბების კომედიის“ პერსონაჟი; 33. კომში; 34. ... ვალონე.

## ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმდტ.ყტ,ეაბ hჰჯცდჯჰლტ,ბც ბფცე[ტ,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ხერგიანი; 2. სუეცი; 3. ყაპუზუნა; 4. დიდუბე; 7. გნოლი; 9. გრევე; 12. კრიტერიუმი; 14. ბულონი; 15. კაშხალი; 17. ლანცეტი; 18. კრიჟი.

**თარაზულად:** 5. ფელამუში; 6. კვაზარი; 8. ბოცმანი; 10. კელასური; 11. ონაგრი; 13. ბლატერი; 16. შეწირული; 18. კამეა; 19. ფშავი; 21. ირონია; 22. პლანტაჟი; 23. გაუტამა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბუკე; 2. ომი; 3. ბოროდინი; 4. შუ; 5. ცუცხვათი; 6. პელე; 7. ცინიზმი; 10. მესი; 11. ბალახვანი; 12. კაპიტანი; 13. ჯაზი; 16. სტამბა; 18. ქორწილი; 19. შტანგა; 21. რაგბი; 24. მახრა.

**თარაზულად:** 1. ბაჯარლო; 3. ბეკეში; 8. თუშეთი; 9. კომო; 14. ასთმა; 15. ზანავი; 17. პუფი; 20. ნახირი; 22. თქორი; 23. ტატამი; 25. კიი; 26. მოლა; 27. მწდე; 28. ხორნაბუჯი.

# ვერკა ჯაჯანიძე თხოვდება

ეკა ირემაშვილი

მოცეკვავე ვერკა ჯაჯანიძე, რომელიც ფართო საზოგადოებამ პროექტიდან „ცეკვავენ ვარსკვლავები" გაიცნო, თხოვდება. მიუხედავად იმისა, რომ მოცეკვავე ამ ეტაპზე საკმაოდ დაკავებულია და ბავშვებს ცეკვას ასწავლის, სიყვარულისთვის დრო ყოველთვის რჩება.

მოცეკვავის ინფორმაციით, მისი რჩეული ფეხბურთელი ირაკლი შალიკაშვილია. მათ ერთმანეთი საერთო მეგობრების წრეში სწორედ „ცეკვავენ ვარსკვლავების" მსვლელობის დროს გაიცნეს. მეგობრობა და სიმპათიები მალე სიყვარულში გადაიზარდა და უკვე 6 თვეა ისინი ერთმანეთს ხვდებიან. წყვილი ნანუკა ჟორჟოლიანთან მივიდა სტუმრად, სადაც ირაკლიმ ვერკას ბეჭედი აჩუქა და ხელი სთხოვა. პასუხად ფეხბურთელმა მოცეკვავისგან თანხმობა მიიღო.



**ვერკა ჯაჯანიძე:**

— შეყვარებული ვარ, თანაც ძალიან. ჩემი შეყვარებული ფეხბურთელი ირაკლი შალიკაშვილია. ამჟამად ირაკლი თავისუფალია, არსად თამაშობს, ის ხელშეკრულებას ელოდება გუნდიდან. ახლა ვფიქრობთ, რომ ეს იყოს თბილისში, ერთმანეთს რომ არ დავშორდეთ. ერთად ვართ უკვე მეექვსე თვეა. ხელი ჩემთვის ჯერ არ უთხოვია. სიყვარული კი ამიხსნა, მაგრამ განსაკუთრებულად არა, იმიტომ რომ ირაკლი საერთო მეგობრების გარემოცვაში გავიცანი. „ცეკვავენ ვარსკვლავების" პროექტი იყო ირაკლი რომ ვნახე, ისე იქცეოდა და ყველაფერს ისე აკეთებდა, რომ თქმაც არ იყო საჭირო, მიმახვედრა რომ ვუყვარდი. ირაკლი მართლა განსაკუთრებულად იქცეოდა, სიურპრიზებს მიმზადებდა. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა, როცა ღამის პირველის ნახევარზე დამირეკა, მითხრა, კარი გააღეო. გავაღე და მთელი სადარბაზო იყო სავსე ფერადი ფურცლებით და ყველა ფურცელზე სხვადასხვა სიტყვა ეწერა. ძალიან ბევრი იყო, სულ ვფიქრობდი, განა რამდენი ხანი წერდა ამ სიტყვებსმეთქი. სულ მწერდა, რომ ვუყვარვარ, ვენატრები. ახალ წელს მაჩუქა ყელსაბამი და სულ მეუბნებოდა ჩემი ნაჩუქარი ყელსაბამი არასდროს არ გიკეთიაო. ისეთი რეჟიმი მაქვს, სულ გადარბენებზე ვარ, ხან დარბაზში ვარ, ხან ბავშვებთან ვმუშაობ. ხშირად სპორტული ტანისამოსი მაცვია და მისი ნაჩუქარი ყელსაბამი ვერასდროს გავიკეთე.

**ირაკლი შალიკაშვილი:**

— ძალიან მიყვარს ვერკა, დარწმუნებული ვარ, სულ ასე მეყვარება და მინდა, რომ ჩემს გვერდით იყოს. ჯერ არ ვიცით ერთად როდის გადავალთ საცხოვრებლად, იმედია, მალე. რადაცებს ვგეგმავთ, გვინდა, რომ ახალი „ცეკვავენ ვარსკვლავების" პერიოდში ან მანამდე მოვიფიქროთ საბოლოოდ რას ვაპირებთ. რთული გრაფიკი აქვს ვერკას, გამიკვირდა რომ დავყვებოდი, ფეხბურთელებზე ცუდი გრაფიკი აქვს. რამდენიმე დღეში გადაწყდება ჩემი ბედიც, სად ვითამაშებ არ ვიცი, მინდა საქართველოში დავრჩე, მაგრამ თუ უცხოეთში შემომთავაზეს კონტრაქტი, კიდევ უკეთესი, მაშინ ვერკაც ჩემთან ერთად წამოვა.

# მურმან ჯინორია იუბილარია

ეკა ირემაშვილი

ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეული მსახიობი მურმან ჯინორია იუბილარია. მას 68 წელი შეუსრულდა. მსახიობს კოლეგებთან, მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან და მისი შემოქმედების გულშემატკივრებთან ერთად, დაბადების დღე კულტურის სამინისტრომაც მიულოცა, ჯანმრთელობა, წარმატებები და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი და ილიას პრემია „საგურამო"-ს მფლობელი მსახიობი თავისი ინდივიდუალიზმით და პროფესიისადმი დამოკიდებულებით არის გამორჩეული. იუბილარი თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში სწავლობდა. მისი დასრულების შემდეგ, სამუშაოდ მივიდა რუსთაველის თეატრში და დღემდე იქ მოღვაწეობს. მურმან ჯინორიამ რუსთაველის თეატრის სცენაზე განასახიერა არაერთი როლი და მაყურებლის მოჯადოებაც შეძლო. დიმიტრი პაუშენკო, ბატონი ნოე, მარლის სული, კენტი, ვიქტორი, აბესალომი, თომა, მესამე მსაჯული, ბატონი კოტე, ბერლეი, პოლონიუსი, ეს იმ როლების მცირე ჩამონათვალია, რომელიც მსახიობმა რუსთაველის თეატრის სცენაზე განასახიერა. მურმან ჯინორიამ გურამ საღარაძესთან და ზინა კვერენჩხილაძესთან ერთად მონაწილეობა მიიღო სპექტაკლში „სხვა საქართველო", რომელიც ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს აერთიანებდა. მსახიობმა მონაწილეობა მიიღო კინომსახიობთა თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლებშიც ,,სისხლიანი ქორწილი", „საქმე", ,,შუშანიკის წამება", ,,დონ ჟუანი".



მურმან ჯინორია მხატვრული კითხვის ოსტატია. რუსთაველის თეატრში მისი ავტორობითა და შესრულებით განხორციელდა ლიტერატურული კომპოზიციები ,,ბედისწერა გვიხსნის მარად" და ,,ქარი მწყურია მე პირდაპირი". ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში ქართველ პოეტთა ლექსებზე შექმნა სპექტაკლი ,,...და სიმღერით ვკვდები", გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების მიხედვით დადგა ,,ზღვა ძალიან ღელავს", შექსპირის ,,ჰამლეტისა" და სონეტების მიხედვით განახორციელა ,,დროთა კავშირი დაირღვა", დავით გულიას ლექსების მიხედვით ,,მე იალქანი უნდა გავშალო", ამავე თეატრში განასახიერა ლეონარდო სპექტაკლში ,,დედა დედოფალი", სადაც პარტნიორობას უწევდა ლეგენდარულ სოფიკო ჭიაურელს.

მისი ტელედებიუტი შედგა სატელევიზიო დადგმაში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", სადაც სერგოს როლი შეასრულა. ამას მოყვა კინოროლები ფილმებში „გზაჯვარედინზე", „სინემა", „ჩაკლული სული". მსახიობი ბოლო დროს სხვადასხვა ქართულ სერიალებშიც მონაწილეობს. იუბილარმა მსახიობმა ესტრადაზეც სცადა ბედი და ლექს-სენთან ერთად დუეტი ჩაწერა.

# მიშა გომიაშვილი: რატომ ვართ შურიანები?"

ეკა ირემაშვილი

მსახიობ მიშა გომიაშვილს გულწრფელად აინტერესებს რატომ ვართ ქართველები ასეთი შურიანები, ბოღმიანები და ღვარძლიანები:

„რა უბედურება გვჭირს? რატომ ვართ ასეთი შურიანები, ღვარძლიანები და ბოღმები? ქართველები წავიდნენ ოსკარის დაჯილდოებაზე, მისცემენ თუ არ მისცემენ ამას უკვე აღარ აქვს დიდი მნიშვნელობა, სკორცეზე, ტარანტინო და პაჩინო წერს თავის სიაში რომ ნომინირებულები იყვნენ ოსკარზე! ეს იმათთვის, ვინც ვერ ხვდება რას ნიშნავს ოსკარზე ნომინირება. ზოგს კაბა არ მოგვწონს, ზოგს სმოკინგი, ზოგს ფილმი და ზოგს საერთოდ თვითონ ფაქტი, რომ ოსკარის დაჯილდოებაზე წავიდნენ, რომელიმე ჩვენგანი რომ ყოფილიყო მათ ადგილზე არ წავიდოდით? უარს ვიტყოდით? რა მოხდა? პასპორტი დაკარგა! აუფ... ეს როგორ გაბედა! რა მოხდა მერე? დიდი ამბავი. შეიძლება ამის გამო ადამიანს ლანძღვა დაუწყო? და ყველაზე მეტად რა მაგიჟებს, მსახიობებს კი არ შურთ, ყოველ შემთხვევაში არ არავინ არ წერს ამას, კინოსთან და თეატრთან კავშირი რომ არა აქვთ ის ხალხია გაღიზიანებული და გაბოროტებული... როგორ თუ გაბედეს და წავიდნენო. ვუსურვებ ჩვენ ბიჭებს ოსკარი ჩამოეტანოთ ბოღმა და შურიანი ხალხის ჯინაზე!"

# რამინ მიქაბერიძე ხელოვნების ქურუმია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი რამინ მიქაბერიძე ფოლკლორული მუსიკის სფეროს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ უმაღლესი ჯილდოთი ხელოვნების ქურუმით დააჯილდოვა.

„უღრმესი მადლობა ყველას, ვინც მოვიდა ჩემს იუბილეზე და დამაფასა. კულტურის სამინისტრომ უმაღლესი ჯილდო ხელოვნების ქურუმი მომანიჭა, რაც ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. მთელი ჩემი ცხოვრება ქართულ ხალხურ სიმღერას ვემსახურები. ეს არის ჩემი ცხოვრების მთავარი მისია. წლების განმავლობაში ანსამბლ „რუსთავში" ვმღეროდი, ახლა კი ჩემს გამოცდილებას მომავალ თაობებს ვასწავლი და ანსამბლ „საგალობელს" ვხელმძღვანელობ," — განაცხადა იუბილარმა ხელოვანმა.

რამინ მიქაბერიძის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებული საღამო რუსთაველის თეატრში გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ მსახიობი კახი კავსაძე, ანსამბლები რუსთავი და მისი პირველი თაობა, მართვე და მისი პირველი თაობა, გეორგიკა, საგალობელი, ბათუმის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, მიქაბერიძეების საოჯახო ანსამბლი, ბავშვთა გაერთიანებული გუნდი „საგალობელის", „მართვეს", „მძლევრის", „ერქვანის", „ბიჭების" შემადგენლობით. რუსთაველის თეატრში რამინ მიქაბერიძისთვის იუბილეს მისალოცად მისი კოლეგები, მეგობრები და რიგითი მაყურებლები მივიდნენ, სამახსოვრო საჩუქრები აჩუქეს და საუკეთესო სურვილები უსურვეს.

რამინ მიქაბერიძე ანსამბლ „რუსთავის" ერთ-ერთი გამორჩეული შემსრულებელი იყო, ის პირველ ხმას მღეროდა. ცნობილია მისი დუეტი ჰამლეტ გონაშვილთან. ამჟამად მომღერალი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა და ფოლკლორული ანსამბლის „საგალობელი" ხელმძღვანელია.

# ვასო ფხაკაძე გოგოს მამა გახდა

„კომედი შოუს" მსახიობი და იუმორისტი ვასო ფხაკაძე მამა გახდა. მას და მის მეუღლეს მოდელ ლიკა მეტრეველს პირველი შვილი ეყოლათ. მშობლებმა პატარას ნინა დაარქვეს. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ინფორმაცია სოციალურ ქსელში ლიკა მეტრეველმა თავად გაავრცელა და უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილებიც მიიღო.



ვასო ფხაკაძე და ლიკა მეტრეველი გასული წლის აპრილში დაქორწინდნენ. ვასოს დაქორწინებამდე, იუმორისტის დაოჯახება ლამის მთელი საქართველოს ნომერ პირველ პრობლემად იქცა. 37 წლის ასაკში იუმორისტმა როგორც იქნა იპოვა თავისი შესაფერისი გოგონა და 21 წლის მოდელზე ლიკა მეტრეველზე იქორწინა.

მიუხედავად იმისა, რომ ლიკა მოდელია, ის იურიდიულ განათლებას იღებს. როდესაც წყვილი საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ერთად გამოჩნდა, ყველამ იმაზე დაიწყო საუბარი, რომ ისინი შეყვარებულები იყვნენ, მაგრამ ორივე ჯიუტად ამტკიცებდა, რომ ერთმანეთთან მხოლოდ მეგობრობა აკავშირებდათ. მათი სიყვარულის ამბავი ისევ ლიკამ გაასაჯაროვა და სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მისი რჩეული სწორედ ვასო ფხაკაძე იყო. წყვილმა დაქორწინება თურქეთში მოგზაურობით აღნიშნა და თაფლობისთვეც ანტალიაში გაატარა. წყვილს არასოდეს უყვარდა თავისი სიყვარულის ამბავზე საჯაროდ საუბარი, ამიტომაც ჟურნალისტებს ინტერვიუზე ყოველთვის უარს ეუბნებოდნენ. მათ გამონაკლისი მხოლოდ ერთხელ დაუშვეს, როდესაც „ნანუკას შოუში" მივიდნენ სტუმრად და თავისი ისტორია დაინტერესებულ საზოგადოებას ასე საჯაროდ უამბეს.

ეკა ირემაშვილი

# შერეკილი გიტარა" — ტარიელ სუარის ახალი პროექტი

გიტარისტი ტარიელ სუარი ახალ მუსიკალურ ტურნეს იწყებს, რომელსაც ავტორმა „შერეკილი გიტარა" უწოდა. მუსიკოსის თქმით, ეს პროექტი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხის გაერთიანებას მიეძღვნება:

„უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა, თბილისის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსის, დიდი მეუფის, მამისა ჩვენისა ილია მეორის ლოცვა კურთხევით, დღეიდან, ჩემი ყველა კონცერტი, რასაც კი ოდესმე სადმე დავუკრავ, მიეძღვნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ქართველებში, ოსებსა და აფხაზებში ურთიერთ პატივისცემისა და სიყვარულის დანერგვას და ჩვენს ერთ მუშტად შეკვრას."

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ტარიელ სუარი მის უწმინდესობას ხვდება. გიტარისტი პატრიარქს ადრეც სტუმრობდა და მისგან საჩუქრად ძვირფასი თვლებით შემკული ჯვარი მიიღო. მოულოდნელი საჩუქრით აღფრთოვანებულმა ტარიელ სუარმა ილია მეორის საჩუქარს ფოტო გადაუღო და სოციალურ ქსელში გაავრცელა:

„უღრმესი მადლობა ჩვენს უწმინდესს ასეთი არაჩვეულებრივი საჩუქრისთვის."

ტარიელ სუარის მეუღლის მსახიობ ია ფარულავას თქმით, წყვილი მის უწმინდესობას მამა გიორგის ინიციატივით შეხვდნენ და ტარიელის ახალ მუსიკალურ პროექტზეც ისაუბრეს:

„მამა გიორგიმ დიდი საჩუქარი მოგვიწყო: მე და ტარიელი შევხვდით უწმინდესს. მან კიდევ ერთხელ მოუსმინა ტარიელის არაერთ ნაწარმოებს, დაგვლოცა და დაგვასაჩუქრა ორი ულამაზესი ჯვრით. უწმინდესმა ტარიელის შესრულება უდახვეწილესად შეაფასა. ტარიელმაც არ დააყოვნა და უწმინდესს შერეკილი გიტარის ტურნეს შესახებ უამბო, რის შემდეგაც უწმინდესმა კურთხევა მისცა ტარიელს, რომ მან ყველა მისი მომავალი კონცერტი, ევროპასა თუ საქართველოში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ქართველებში, ოსებსა და აფხაზებში ურთიერთ პატივისცემისა და სიყვარულის დანერგვას და ჩვენს ერთ მუშტად შეკვრას მიუძღვნას. წარმატებები ტარიელ შენ და შენს შერეკილ გიტარას."

მიუხედავად ასეთი სასიამოვნო ამბისა, ია ფარულავას პრობლემები მაინც შეექმნა. ის ორშაბათს სასამართლოშია დაბარებული. ინფორმაცია ამის შესახებ მსახიობმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა. მის თქმით, საქმე ეხება თბილისის ერთ-ერთ კაფეში მომხდარ შემთხვევას, რაზეც გამოძიებაა დაწყებული:

„რა ბედნიერებაა, ორშაბათს სასამართლოში ვარ დაბარებული. ქოცებ-ნაცების ჩხუბზე „ლა ტრუფე"-ში. არადა, მე რომ გავედი, მერე მოხდა ყველაფერი."

ეკა ირემაშვილი

# ზაზა ურუშაძე 250.000-ით დააფინანსეს

რეჟისორი ზაზა ურუშაძე 250.000 ლარით დააფინანსეს. ინფორმაცია კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და რეჟისორმა ქეთი დოლიძემ გაავრცელა:

„მოგვიანებით, მინდა ერთ ადამიანს მადლობა გადავუხადო. არ მიყვარს, როდესაც სიკეთეს არ აღნიშნავენ. როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგე, „მანდარინებისთვის" და „სიმინდის კუნძულისთვის" ორი წლის წინ, პირადად ალექსანდრე მარგიშვილის დიდი ძალისხმევით, გეგმის გარეშე, რადგან ეს მნიშვნელოვანი პროექტები იყო, კულტურის სამინისტროდან ზაზა ურუშაძემ მიიღო 250.000 ლარი, გიორგი ოვაშვილმა 400.000. ორივე ფილმი წარმატებულია და მე ვუხდი პირადად მადლობას ამისთვის ბატონ ალექსანდრეს. ასეა ეს. მიკვირს, რატომ არავინ არაფერი თქვა ამ ხნის მანძილზე.... კულტურაა ერთადერთი ექსპორტი საქართველოსი ჯერ-ჯერობით და მას მოვლა უნდა... ალეკო, იმედი მაქვს, მერიაშიც კულტურა ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება! გაიხარეთ!"

ეკა ირემაშვილი

# TV პროგრამა

ოჩშაბათი

23 თებეჩვალი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 02.10** "პირადი ექიმი" **11.00, 03.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40,** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"მეცამეტე მოციქული"** **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "არენა" **23.30** მხ/ფ **"მაკარტური"** **01.40** "პოპ-კულტურა"

**08.00** დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული სამყარო" **09.00** მხ/ფ **"ბეთჰოვენი-2"** **10.30** დ/ფ "ირლანდია" **11.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **12.00** მხ/ფ **"დრაკონის გული"** **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 17.00, 21.00, 22.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.45** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40, 03.25** ქრონიკა **10.05** სერ. **"უდანაშაულო"** **11.20** სერ. **"ივნისის ღამე"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ღალატი"** **17.35** სერ. **"ქალის ხვედრი"** 5 სერ. **18.45, 19.03** სერ. **"დაკარგული"** **20.55** სერ. **"შურისძიება"** **22.00** იუმორინა **00.00** მხ/ფ **"ტრანსპორტერი"** (ჯ.სტეტჰემი) **01.50** მხ/ფ **"გატაცებული"** **03.35** ფარული კამერა **04.50** მხ/ფ **"კილიმანჯაროს თოვლიანი მთა"** (გ.პეკი)

**06.00, 16.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** მარაო **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "ველური ბუნება" **07.45** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" V ნაწ. **07.10** დ/ფ "ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია" **07.35** მარხვისა და სინანულის შესახებ - მეუფე დანიელი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.30** განთიადის სიუჟეტი - მამა გაბრიელი **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** დ/ფ "აღდგომა თებერვალში" **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.05** სატელევიზიო ფილმი "წმინდა ოთხთავი" მათეს სახარება I ნაწ. **15.55** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ.გვასალია) **17.10** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **19.15** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (საკითხავი) ორშაბათი **19.30** დ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **20.40** ძილი ნებისა **21.30** პატერიკი **21.35** ღვთის სახლი **21.50** ამბიონი **22.25** დ/ფ "არტერია" - ფშავი III ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საღვთისმსახურო წელიწადი I გად. **23.30** დ/ფ "მებრძოლი ეკლესია" **00.30** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) **01.10** განთიადის სტუმარი **01.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"დრაკონებზე მონადირენი"** **7.55** "საქმიანი დილა" **9.40, 12.30, 13.05, 18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **10.05, 11.05 სერიალი "ჩემი შვილები"** **13.35, 14.05 სერიალი "სხვისი სხეული"** **15.35** გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **19.00 სერიალი "მამის კვალდაკვალ"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **0.00** დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე"

გჰჯუჰფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯპფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


23 თებერვალი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.1771

ევრო — 2.4688

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3464

100 რუსული რუბლი — 3.5029

**ამინდის პროგნოზი 23 თებერვლისთვის**






# 24 თებერვლიდან!

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## ავთანდილ ბუხრაშვილი

## მყუდრო აგარაკის საიდუმლოება

**ქართული დეტექტივის მე-9 ტომი**




# დინამო“ და დილა“ მდევართა ჯგუფს მოსწყდნენ



21 თებერვალს განახლდა საქართველოს საფეხბურთო პირველობა. გაიმართა მე-16 ტურის მატჩები. ჩემპიონატს კვლავ თბილისის „დინამო“ ლიდერობს, რომელსაც კვალში გორის „დილა“ უდგას.

### გურია – ზესტაფონი 1:0

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**

1:0 მოსიაშვილი (50)

**გურია:** თებიძე, ჭეიშვილი, ბ. ცინცაძე, კილაძე, გ. მჭედლიშვილი, ღაღანიძე, კოშკაძე (ბენაშვილი 83), შალამბერიძე (კონოვალოვი 90), ისიანი (მათიაშვილი 76), ინგოროყვა, მოსიაშვილი

**ზესტაფონი:** კუპატაძე, რობაქიძე, კ.ხიზანეიშვილი, გაგოშიძე, მთივლიშვილი, ვასაძე, ნემსაძე (სიხარულიძე 51), ლ.მჭედლიშვილი (ბერიძე 59), ხაბელაშვილი (სიხარულიძე 46), სამუშია, ილურიძე

მატჩი საინტერესო გამოდგა და საკმაოდ დაძაბულადაც წარიმართა. თამაშის მსვლელობისას უპირატესობას ხან მასპინძლები ფლობდნენ, ხანაც სტუმრები, თუმცა გურულებს უფრო გაუმართლათ...

პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს – დასარტყმელ პოზიციაზე გურამ სამუშია აღმოჩნდა, თუმცა მახვილი კუთხიდან მისი დარტყმული მცირედით აცდა გაბრიელ თებიძის კარს. შემდეგ შანსი მასპინძლებსაც მიეცათ და იმერლები დავით კუპატაძემ გადაარჩინა.

ტაიმის დასრულებამდე თავის გამოჩენის კარგი შესაძლებლობები ივანე ხაბელაშვილსა და გიორგი ილურიძეს მიეცათ, თუმცა დამაგვირგვინებელი დარტყმების შესრულებისას ორივეს სიზუსტე დააკლდა.

მეორე ტაიმის სადებიუტო ნაწილი აქტიურად უკვე მასპინძლებმა ჩაატარეს და სწორედ მატჩის ამ მონაკვეთში გამარჯვების მომტანი გოლის გატანაც მოახერხეს – 50-ე წუთზე „ზესტაფონის“ კართან დანიშნული კუთხურისას ბურთი საჯარიმოსკენ იქნა ჩაწოდებული და თორნიკე მოსიაშვილმა საჯარიმოს ხაზის სიახლოვიდან უძლიერესი დარტყმით სტუმართა კარის ბადის „ცხრიანში“ გაგზავნა. კუპატაძეს გუნდის გადარჩენის მცირედი შანსიც არ ჰქონია.

ანგარიშში ჩამორჩენის შემდეგ უკვე სტუმრები გააქტიურდნენ და მალევე ძალიან კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რომელსაც კარში დარტყმით ირაკლი სიხარულიძე აგვირგვინებდა, მაგრამ ოდნავ სიზუსტე დააკლდა. თამაშის გამწვავებას მასპინძლებიც ცდილობდნენ. მაგრამ აშკარად საგოლე მომენტი იმერელთა კართან შეხვედრის ბოლომდე აღარ შექმნილა.

მატჩის მიწურულს „ზესტაფონს“ ნამდვილად მართებდა ქულის გადარჩენა – ბოლო წუთზე სიხარულიას დარტყმული მასპინძელთა ხარიხამ აისხლიტა – 1:0 „გურიას“ სასარგებლოდ.

### ზუგდიდი – შუქურა 1:0

**ზუგდიდი. ბაიას ბაზა**

1:0 ქობალია (66)

**ზუგდიდი:** ბობღიაშვილი, მაჩაიძე, პაჭკორია, ღონღაძე, მეგრელიშვილი, კობერიძე, წურწუმია, გუგუჩია (ფარჯიკია 85), ლომია (ენდელაძე 70), კუტალია, ქობალია (დ.ქირია 90)

**შუქურა:** ჯიოევი, ტვილდიანი, მალანია (მჟავანაძე 88), ხოჭოლავა, ჩალაძე, კუხიანიძე, პუკანიჩი, ხუჭუა (თუხარელი 60), ჩაფიძე, ჩელებაძე, მეტრეველი (მესხი 73)

მატჩის ბედი აქაც ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა – 66-ე წუთზე მასპინძელთა იერიში ლევან წურწუმიამ წამოიწყო, პასი საჯარიმოში გააკეთა, სადაც ირაკლი ქობალიამ დასწრებაზე ითამაშა და ჯიოევს შანსი არ დაუტოვა.

### სამტრედია-დინამო (თბ) 0:1

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1 მანუელი (20)

**სამტრედია:** თევდორაძე, კაკუბავა, ხიზანიშვილი, ბეჭვაია, კვირკველია, ბოლქვაძე, დათუნაიშვილი (შარიქაძე 79), გორგიაშვილი (კერძევაძე 71), დოლიძე (ქანთარია 87), გეწაძე, კაპანაძე

**დინამო:** ჰრდლიჩკა, ჭანტურია, რენე, კაკაბაძე, თოთაძე, ცინცაძე, ბუკორაცი, ტაბატაძე, პარუნაშვილი (ჯიღაური 56), ჭანტურიშვილი (შერგელაშვილი 83), მანუელი (ჩირგაძე 66)

ჩემპიონატის ლიდერმა სტუმ-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## h3xცღx3ლბ

**თარაზულად:** 6. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 7. კბილის ექიმი; 8. პირობითი ასოითი ნიშანი; 9. ყვავილთა დედოფალი; 10. საიზოლაციო მასალა; 11. კერძო სასტუმრო; 15. გაწმენდა მინარევებისაგან; 17. ბუნებრივი ცოცხალი ნიმუში; 19. ოპტიკური მოვლენა, ნათელი საგნების ბნელში დიდად გამოჩენა; 21. ოფიციანტი ევროპის ზოგ ქვეყანაში; 22. ზოგი ცხოველის დამსგავსება იმავე ადგილზე მცხოვრებ სხვა ცხოველთან; 23. ბერძნული სიმებიანი საკრავი.

**შვეულად:** 1. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 2. თეორიული მექანიკის ნაწილი; 3. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკები; 4. ნაყოფიერების ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. მუსიკალურ-სცენური კომედიური ხასიათის ფილმი; 8. დახურული მსუბუქი ავტო; 12. ხვიარა ბალახოვანი მცენარე; 13. იუპიტერის თანამგზავრი; 14. უნებისყოფობა; 16. სესილია თაყაიშვილის კინოროლი; 18. ერთი იდეით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი; 20. ქიმიური ელემენტი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*






კეპ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ